



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან
130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის
პროგრამა და თეზისები



27-28 Tebervali
2017 weli

საიუბილეო ღონისძიებების პროგრამა

27 თებერვალი

- 10.00.10.30** - აკადემიკოს აკაკი შანიძის საფლავის ყვავილებით შემკობა (თსუ პანთეონი)
- 10.30-11.00** - ფოტოგამოფენის „აკაკი შანიძე - 130“ გახსნა (თსუ, საგამოფენო დარბაზი, I კორპუსი, III სართული)
- 11.00-18.00** - აკაკი შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 107)
- 10.30 - 10.55** - კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 107)
- 11.00** - კონფერენციის გახსნა და მისალმებები
- 11.30-13.00** - კონფერენციის I სხდომა
- 13.00-13.30** - აკაკი შანიძის ნაშრომების გამოფენის გახსნა (თსუ ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, I კორპუსი)
- 13.30-14.30** - შესვენება
- 14.30- 17.00** - კონფერენციის II სხდომა

28 თებერვალი

აკაკი შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია
(თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)

- 10.00- 12.00** - III სხდომა (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)
- 12.00-12.30** - შესვენება
- 12.30-14.30** - IV სხდომა (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)
- 14.30-15.00** - შესვენება
- 15.00 – 17.00** - V სხდომა (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)

კონფერენციის პროგრამა

27 თებერვალი

(თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 107)

11.00 – 11.30 - კონფერენციის გახსნა და მისალმებები

11.30-13.00 - I სხდომა

(სხდომის თავმჯდომარე - პროფ. დარეჯან თვალთვაძე)

1. **თამაზ გამყრელიძე (თსუ)** - აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი
2. **მზექალა შანიძე (თსუ)** - შენიშვნები ოშკის ბიბლიის შესახებ
3. **სალომე ოშიაძე (თსუ)** - „მცირით დაწყებული დიდი საქმე“ - დისერტანტ აკაკი შანიძის შესავალი სიტყვა
4. **ქეთევან ასათიანი (საქართველოს ეროვნული არქივი)** - ნაცნობი და უცნობი აკაკი შანიძე (მეცნიერის პირადი არქივი)
5. **დარეჯან თვალთვაძე (თსუ)** - „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“ - პროექტის კონცეფცია და განხორციელების გზები
6. **მანანა თანდაშილი (გოეთეს უნივერსიტეტი)** - აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე

14.30 - 17.00 - II სხდომა

(სხდომის თავმჯდომარე - პროფ. რამაზ ქურდაძე)

1. **ზურაბ ჭუმბურიძე (თსუ)** - სიტყვა იუბილე ქართულში
2. **დამანა მელიქიშვილი (თსუ)** - სამი დიათეზისა და სამი სერიის ურთიერთმიმართებისათვის
3. **მარიკა ჯიქია (თსუ)** - თებერვლის 26-ს ვამჯობინეთ 26 თებერვალი
4. **რამაზ ქურდაძე (თსუ)** - სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით
5. **ნანა ლოლაძე (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)** - აგებულების მიხედვით ზმნათა შენაცვლება ტიპოლოგიურ კონტექსტში
6. **მაია ლომია (თსუ)** - მეგრული გაშაირების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები
7. **ქეთევან მარგიანი (თსუ)** - სვანური ენის კოდორული მეტყველების ერთი სპეციფიკური მოვლენისათვის
8. **მარინე ივანიშვილი (თსუ)** - ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე

28 თებერვალი (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)

10.0- 12.00 - III სხდომა

(სხდომის თავმჯდომარე - ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი)

1. **ნინო დობორჯგინიძე (ილიაუნი)** - სალიტერატურო პროცესების კონცეპტუალიზაციისთვის ძველ ქართულ ტრადიციაში
2. **კარინა ვამლინგი (მალმოს უნივერსიტეტი), მაკა თეთრაძე (თსუ)** - ჰანს ფოგტის ქართველოლოგიური კვლევის დასაწყისი და აკაკი შანიძე
3. **რუსუდან ზექალაშვილი (თსუ)** - კოლოკაციათა სახეები და ფუნქცია ორენოვან თარგმნითს ლექსიკონებში
4. **ნინო შარაშენიძე (თსუ)** - გრამატიკალიზაცია ქართულში
5. **მარინე ბერიძე (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)** - ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი - სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალი
6. **ლიანა ლორთქიფანიძე (თსუ)** - ქართული ენის ლექსიკური სისტემა GEWORDNET თესაურუსში
7. **ლია ქაროსანიძე (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)** - ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ბრუნვათა შესახებ და მათი კვალი ქართულში
8. **ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია (თსუ)** - ფრანგულ პარემიოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური სპეციფიკა

28 თებერვალი (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)

12.30-14.30 - IV სხდომა

(სხდომის თავმჯდომარე - ასოც. პროფ. მაია ლომია)

1. **ნუგზარ პაპუაშვილი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)** - აკაკი შანიძის რეკომენდაცია არნოლდ ჩიქობავას
2. **ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)** - დიმიტრიური ფორმები მხატვრულ ლიტერატურაში
3. **მერი ნიკოლაიშვილი (თსუ)** - პერფექტული სემანტიკის ზმნებისა და მესამე სერიის ფორმათა საკითხისათვის ქართულში
4. **როზეტა გუჯეჯიანი (თსუ)** - მერი გუჯეჯიანის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა
5. **ნარგიზ ახვლედიანი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი)** - ტოპონიმ „კაპანდიბი“-ს განმარტებისათვის
6. **ნინო ხახიაშვილი (ენათმეცნიერების ინსტიტუტი)** - სიტყვა ცა და მასთან დაკავშირებული სიტყვა-თქმანი
7. **ნიკო ოთინაშვილი (გორის უნივერსიტეტი)** - სოფელ ცხავატის ონომასტიკური მასალები

8. იგორ კეკელია (ქუთაისის უნივერსიტეტი) - მიეზანი აფხაზეთის ტოპონიმიდან (ბაბუშარა, კინდლი, შხურლაჭი, ჩეგემი)
9. გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი (თსუ) - კონცეპტი „ინვექტივი“ ფრანგულ და ინგლისურ პარემიებში

28 თებერვალი (თსუ, I კორპუსი, აუდიტორია N 206)

15.00 – 17.00 - V სხდომა

(სხდომის თავმჯდომარე - ასოც. პროფესორი ქეთევან მარგიანი)

სტუდენტური სექცია

1. მარიამ აბესაძე (თსუ) - უქონლობისა და უარყოფითნაწილაკიან ფორმათა მოდელები და სემანტიკური ანალიზი (სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების მიხედვით)
2. გიორგი ჯღარკავა (თსუ) - ზოგიერთი ენობრივი საკითხის ანალიზი ლაზურ ანდაზებში
3. ელენე ლურსმანაშვილი (თსუ) - „არ“ ნაწილაკის სტილური დანიშნულების კონკრეტული შემთხვევა „ვეფხისტყაოსანში“
4. ნინო აბესაძე (თსუ) - „უტოპიური ანბანის“ შექმნის იდეა და მისი განვითარების გზა
5. სალომე გეგეჭკორი (თსუ) - ვა- „არ“ ნაწილაკის დაწერილობისა და ფუნქციის საკითხი მეგრულში
6. სალომე სუხიაშვილი (თსუ) - საიქიო და მისი ბინადრები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში
7. სოფია შამუგია (თსუ) - ნატვრილობის გამოხატვა მეგრულში და სამეტყველო კოდების შერევის საკითხი
8. **სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია ლაზეთსა და სვანეთში (ანგარიში)**
 სოფია შამუგია, ნინო ქებურია, გიორგი ჯღარკავა, სოფიო ბერულავა, სალომე გეგეჭკორი, მარიამ მამფორია, ნინო ყოჩიშვილი (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მაია ლომია);
 გიორგი ჯღარკავა, მარიამ აბესაძე, ნათია ბოტკოველი, ელენე ლურსმანაშვილი, ლიკა შონია, მზისადარ ჯოჯუა (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანი)

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა თ ა თ ე ზ ი ს ე ბ ი

ქეთევან ასათიანი
საქართველოს ეროვნული არქივი

ნაცნობი და უცნობი აკაკი შანიძე (მეცნიერის პირადი არქივი)

მოხსენებაში განხილული იქნება აკაკი შანიძის პირადი არქივის ცალკეული ნაწილები, მის მიერ მიკვლევული, სამეცნიერო საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ძველი ხელნაწერები (დღემდე მეცნიერის პირად არქივში დაცული), მოგონებები და დღიურები, რომელთაც დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვთ და ასევე მნიშვნელოვანია აკაკი შანიძის პიროვნების განსხვავებული რაკურსით დასანახად.

ნარგიზ ახვლედიანი
ბსუ, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ტოპონიმ „კაპანდიბი“-ს განმარტებისათვის

კაპანდიბი სოფელია ხელვაჩაურის რაიონში. ადგილობრივი ინფორმატორების - ლევან გორგოშაძისა და მისი მეუღლის ნაზი აბაშიძის ზეპირი ინფორმაციით, აქ ადრე დუქნები, სასტუმრო, პურის საცხობი, სავაჭრო ცენტრი . . . ყოფილა. თურქეთიდან ნავებით მოჰქონდათ თურმე ყველაფერი: ზეთისხილი, ყურძენი, სამშენებლო მასალები, სურსათი. ამ ადგილას (კაპანდიბში) შორი სავაჭრო გზიდან მოსულეებს დაასვენებდნენ, ცხენებს ნალეებს შეუცვლიდნენ. აქ ადრე ბორანი ყოფილა, სადაც ნავები შემოდიოდნენ. თედო სახოკია მიუთითებს, თუ როგორ ათევდნენ ღამეს და აგრძელებდნენ გზას შორი გზიდან მოსულეები. კაპანდიბი ბუნებრივი ნავმისადგომი ყოფილა. აქ, როგორც ჩანს, ადგილობრივ მკვიდრთ ასე შემოჰქონდათ სამშენებლო მასალები. 1934 წლამდე კაპანდიბი სასოფლო საბჭო იყო, მერე ხელვაჩაურის რაიონის შემადგენლობაში შევიდა. ამ ტერიტორიაზე ნაპოვნია ოქროს ფირფიტები და ვერცხლის მუზარადი. 2012 წლის 12 ივნისს კირნათში, ე. წ. „ინტერნატის“ ტერიტორიის მიმდებარედ, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იპოვეს ნავი (4 მეტრი სიგრძის) კარგ მდგომარეობაში, რომელიც ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გადაიტანეს. ამბობდნენ, ამ ნავით კირნათიდან

კაპანდიბამდე გადაადგილდებოდნენ ხოლმე მენავეები (ინფორმატორი მინდია ცინცაძე).

კაპანი - სულხან-საბასთან ასეა განმარტებული: ქვა ღოჯი (საბა 1991: 351). ღოჯი - დიდი კბილი პილოსა და მისთანა (საბა 1993: 255). კაპანი-საგან არაერთი ადგილისა თუ სოფლის სახელია ნაწარმოები აჭარაში. ასე მაგალითად: კაპნისთავი-სოფელი აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში, კაპანდი-ბი-სოფელია ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოში (სიხარულიძე 1958:145), კაპანი-სათესი ქედის რაიონში, სოფელი ასამბაძეები (იქვე:60)... რაც შეეხება „კაპანდიბი“-ს ეტიმოლოგიას, იგი რთული სიტყვა ჩანს, რომელიც შედგება „კაპანი“-ისა და „დიბი“-საგან. კოპოზიტის მეორე ნაწილი „დიბი“/დიბად შ. ნიჟარაძესთან განმარტებულია, როგორც თამბაქოს მცენარის ძირა ფოთლები; მისგან დაბალი ხარისხის თამბაქო მზადდება. „დიბა“ სულხან-საბასთან ჰქვია „დებავს“, რაც ნაქსოვს ნიშნავს (საბა 1991:214). ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა „დება“, რომელიც სულხან-საბასთან ასეა განმარტებული: „დება“- მდებარეობა(ა) არს ქონება დადების, ვითარ იგი სხეული იდვის, ანუ მიყრდნობით, ანუ ჯდომით, ანუ დგომით (საბა 1991:213). კაპანდიბში ჩვენი ინფორმატორის, ლევან გორგოშაძის, საკარმიდამოში თავად ვიხილეთ მიწაში ჩაფლული უზარმაზარი ქვები; სავარაუდოდ, ეს ის ადგილებია, სადაც ბუნებრივი ნავმისადგომი უნდა ყოფილიყო. აქ დღესაც მთელს ზოლზეა მიწაში ჩაფლული დიდი ქვები. ამდენად, კაპანდიბის ეტიმოლოგია, შესაძლოა, ასე განიმარტოს: დიდი ქვებით შემოსაზღვრული, შემოფენილი მოსასვენებელი ადგილი, რომელიც დანიშნულების ბოლო პუნქტს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, „კაპანდიბი“ ბუნებრივ-გეოგრაფიული დანიშნულების ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ.

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფრანგულ პარემიოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური სპეციფიკა

ფრანგული პარემიოლოგიური ერთეულების სემანტიკური თავისებურებების განხილვისას აღსანიშნავია, რომ მრავალი პარემიისათვის ჩვეულია სემანტიკური გარდაქმნის ფორმის შერწყმა მეტაფორულ, იშვიათად კი – მეტონიმურ გადააზრებასთან. მეტაფორული გადააზრება წარმოადგენს რა ფრან-

გული ენის ანდაზური ფონდის გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროს, გამოიხატება მნიშვნელობის გადატანით, რომელიც ეფუძნება ორი საგნის ან ორი მოვლენის მსგავსებას. მეტონიმიური გადააზრება, მეტაფორულთან შედარებით, ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ წარმოადგენს სემანტიკური გარდაქმნის საკმაოდ პროდუქტიულ ფორმას. იგი გამოიხატება ისეთი მნიშვნელობის გადატანით, რომელიც ეფუძნება არა მსგავსებას, არამედ საგნების, მოვლენებისა და ცნებების მომიჯნავეობას, ასოციაციურობას.

ფრანგული ანდაზები და თქმები ქმნიან თემატურ ჯგუფთა და სინონიმურ რიგთა მნიშვნელოვან რაოდენობას. ლოგიკურია, პარემიოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური კლასიფიკაცია წარმოვადგინოთ ასეთი სახით: I. მონდომების აუცილებლობა; II. მოვლენის თანადროულობა; III. დამსახურებისადმი მიზღვა; IV. შეგუების აუცილებლობა; V. გულგრილობა სხვისი უბედურების მიმართ; VI. მიმდინარე უბედურებათა ციკლურობა; VII. მსგავსი მისწრაფვის მსგავსისაკენ, ანუ სულიერი ნათესაობა; VIII. კოლექტივიზმის სულის გაგება; IX. უკეთესის იმედი; X. ფატალიზმი; XI. გარეგნობა მაცდურია; XII. მცირედით დაკმაყოფილება; XIII. სრულყოფილების მიღწევა შრომით; XIV. პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე; XV. შვილები მემკვიდრეობით იღებენ მშობლების ხასიათს.

ფრანგულ ანდაზებსა და თქმებს გააჩნია მრავალი თავისებურება. მათში უფრო ხშირად გამოიყენება განსაზღვრული არტიკლი, ვიდრე განუსაზღვრელი. ერთეული საგნის მისათითებლად, ანდაზები და თქმები იყენებენ ერთ-ერთ თავიანთ ძირითად ფუნქციას – რიცხობრიობის ფუნქციას. ზოგჯერ გვხვდება არტიკლის გამოტოვების შემთხვევები, რაც აიხსნება ან გრამატიკული წესებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ენის ევოლუციის მანძილზე, ან იმ მიზეზით, რომ ზოგიერთი ანდაზა და თქმა ენაში გაჩნდა გაცილებით ადრე, ვიდრე არტიკლი, როგორც დეტერმინაციის გრამატიკული კატეგორია. პარემიები იხმარება როგორც აწმყო დროში, ასევე მომავალ დროშიც როგორც თხრობით, ასევე ბრძანებით და პირობით კილოებშიც.

სინტაქსურ პლანში, წინადადების მთავარი წევრები ანდაზებში წარმოდგენილნი არიან არსებითი სახელებით, რიგობითი რიცხვითი სახელებით, ან არსებითი სახელის მნიშვნელობის მქონე განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით; მარტივი ან შედგენილი ზმნით; თვით პარემიები კი წარმოდგენილნი არიან თხრობითი, ძახითი ან წამქეზებელი წინადადებების სახით.

სემანტიკური თვალსაზრისით, პარემიოლოგიური ერთეულები უფრო მეტად მეტაფორულნი არიან, ვიდრე მეტონიმიური. ანდაზებისა და თქმე-

ბის ფორმირების ძირითადი წყარო თვით ცხოვრებაა და ამიტომაც ისინი დაკავშირებული არიან ადამიანთა ცხოვრების მრავალფეროვან მხარეებთან. პარემიები, თავიანთი თემატური ჯგუფებით, ასახავენ ხალხის გამოცდილებასა და სიბრძნეს.

მარინე ბერიძე

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი - სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალი

პროექტი „ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი“ გულისხმობს ქართული სამეცნიერო დისკურსის კორპუსული დოკუმენტაციისა და კვლევის ინსტრუმენტის შექმნას. შექმნილია რთული არქიტექტურის პლატფორმა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ტექსტურ კორპუსს, ტიპური საძიებო სისტემით, არამედ ტექსტების ბიბლიოთეკას და სამეცნიერო გლოსარიუმს. კორპუსი იძლევა დარგობრივი ტერმინოლოგიის მრავალმხრივი ლინგვისტური კვლევისა და ლექსიკოგრაფიების შესაძლებლობას.

კორპუსის მართვის სისტემა (კორპუსის მენეჯერი) ითვალისწინებს ყველა სამეცნიერო დარგის (ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო) სამეცნიერო ტექსტების კორპუსული დამუშავების შესაძლებლობას.

მეტამონაცემების მართვის ბლოკი ისეა სტრუქტურირებული, შესაძლებელია, ერთი და იმავე ავტორის სხვადასხვა დარგში შესრულებული ნაშრომების დეტალური აღწერა. ნაშრომები აღიწერება ქრონოლოგიური, ენობრივი, ჟანრობრივი და სხვა მახასიათებლებით.

ინფორმაციის წარმოდგენა კორპუსში ხდება ე.წ. სტრიქონული კონტექსტით, თუმცა ახალ ვერსიაში იგეგმება KWIC (საკვანძო სიტყვა კონტექსტში) ტიპის კონკორდანსის მიწოდებაც.

კორპუსში ამოქმედდა მორფო-სინტაქსური ანოტირების რედაქტორი, რომელიც არსებული ანალიზის ტესტირებისა და ახალი მარკერების დამატების სწრაფ და ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ამჟამად კორპუსი მზადაა ნებისმიერი დარგის სამეცნიერო ტექსტების მისაღებად დასამუშავებლად. ყველა ახალი სუბკორპუსის მომზადება ცალკე მეცნიერული ამოცანაა. მასში შესაძლოა ჩაებას უმაღლესი სკოლის ყველა რგოლი.

სამუშაოთა ციკლი, რომელიც უმაღლესი სკოლის სხვადასხვა საფეხურზე შეიძლება განხორციელდეს, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილი, ასეთია:

1. ტექსტური კოლექციის მომზადება (ციფრული ფორმატის ტექსტების შეგროვება, ტექსტოლოგიური და სარედაქციო პრობლემების გადაწყვეტა, საბიბლიოთეკო ფაილების მომზადება (PDF), კორპუსში ასატვირთი ფაილების უნიფიცირება (გრაფემული, სტრუქტურული, ორთოგრაფიული, შინაარსობლივი...), TXT ფაილების მომზადება.

2. ტერმინთა გლოსარიუმის მომზადება, მრავალენოვანი გლოსარიუმის განვითარება (ენების დამატება, ახალი ტერმინების თარგმნა)

3. ლინგვისტური ანალიზის სრულყოფა: ახალი სიტყვების ანალიზი, არსებული ანალიზის ტესტირება, ომონიმის დამლევა.

ამ სამუშაოებში ეფექტურად შეიძლება სხვადასხვა სასწავლო საფეხურის სტუდენტების ჩართვა. განსაკუთრებით წარმატებული და პერსპექტიული იქნება – ლინგვისტური და კომპიუტერული მეცნიერებების წარმომადგენელთა თანამშრომლობა.

ამჟამად სამეცნიერო მეტაენის კორპუსში ინტეგრირებულია ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომების სუბკორპუსი; მიმდინარეობს არნოლდ ჩიქობავას ნაშრომების უნიფიცირება, დაწყებულია აკაკი ბაქრაძის ნაშრომების ტექსტური კოლექციის მობილიზება. გვაქვს წარმატებული ავანპროექტები სხვადასხვა დარგის კორპუსების გამოქვეყნებაზეც.

თამაზ გამყრელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი

ქართული მეცნიერების ისტორიაში აკაკი შანიძე განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მას პეტერბურგის უნივერსიტეტში კლასიკური თეორიულ-ლინგვისტური მომზადება არ გაუვლია (იგი უფრო როგორც ფართო პროფილის ფილოლოგოსი გადიოდა მომზადებას, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტ-თეორეტიკოსი), აკაკი შანიძე, მის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკული სისტემის წყალობით, ენათმეცნიერებაში, ფაქტობრივად, იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეო-

ბის წინამორბედი აღმოჩნდა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური; მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციისა და მეთოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომითა და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, აკაკი შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ, როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და ენათმეცნიერების ისტორიაში იგი იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ ფერდინანდ დე სოსიურის **სინქრონიული თეორიისა და პრადის საენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის** სახით ჩამოყალიბდა.

როზეტა გუჯეჯიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მერი გუჯეჯიანის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა

მერი გუჯეჯიანი იყო ენათმეცნიერი და ეთნოგრაფი. მას დიდი წვლილი მიუძღვის სვანეთის ეთნოგრაფიისა და სვანური მეტყველების შესწავლის საქმეში.

მერი გუჯეჯიანს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო წერილი, ექსპედიციათა ანგარიშები და სვანური ლექსებისა თუ ლეგენდა-გადმოცემების არაერთი ნიმუში. მან საფუძვლიანად იცოდა სვანურის ყველა კილო.

განსაკუთრებულია მისი დამსახურება „სვანური პოეზიის“ (ტფ., 1939) შედგენასა და სვანური ლექსებისა და სიმღერების ტექსტების სტანდარტულ ქართულ ენაზე გადმოტანაში. წიგნში შეტანილია უშუალოდ მერი გუჯეჯიანის მიერ ჩაწერილი 30-მდე ლექსი (სიმღერა).

თვალსაჩინოა მერი გუჯეჯიანის წვლილი 1939 წელსვე გამოქვეყნებულ „სვანური პროზაული ტექსტების“ პირველი ტომშიც, რომელშიც სვანური მეტყველების ბალსზემოური კილოს ნიმუშებია წარმოდგენილი. აგრეთვე, მერი გუჯეჯიანის მიერ შეკრებილი მასალები, შესულია 1978 წელს გამოცემულ კრებულში „სვანური ენის ქრესტომათია“ (ნომრებით 184-190).

მნიშვნელოვან და სრულიად უცნობ ეთნოგრაფიულ მასალას გვაწვდის მერი გუჯეჯიანი 1939 წელს გამოქვეყნებულ წერილში: „საანგარიშო

მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ (22.X-10.XI.1938)“. სტატიის მცირე მოცულობის მიუხედავად, იგი მეტად ინფორმაციულია. ავტორი გვაცნობს ექსპედიციის მიზანს: „დალის ხეობაში სვანური მეტროლოგიური, ანუ საზომ-საწყევ-საფასურის მასალების შეკრება-შესწავლა და ჩემ მიერ თავმოყრილი ცნობების შემოწმება“. წერილში მოთხრობილია დალის მხარის გეოგრაფიისა, ეთნოკულტურული პროცესებისა და კულტურულ-სამეურნეო მახასიათებლების შესახებ, აღწერილია მარშრუტი, საკვლევი სოფლები და უბნები. მისი კვლევის შედეგები: „1. სივრცის საზომები, 2. ნართის საზომები, 3. მცენარეულობის, სახელდობრ: მარცვლეულის და მასთან ერთად საზიდი საზომები, 4. სითხის საწყევები, 5. საჭმლისა, 6. დროის საზომები, 7. გამომცხვარი პურის სახელები. მიმოხილულია სისხლის საფასურის - „წორ“-ის მატერიალური ანაზღაურების (თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ - საპროცესო გარიგების) შესატყვისები სვანეთის თემების მიხედვით.

მეცნიერთაგან ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი მერი გუჯეჯიანის საარქივო მასალა. მისი არქივის ნაწილი დაცულია ივანე ჯავახიშვილის ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სადაც დაცულია ორი შეკვრა მერი გუჯეჯიანის „სვანური მასალებისა“, პირველი მოიცავს 52 ხელნაწერ გვერდს და დათარიღებულია 1940 წლით, ხოლო მეორე 146 გვერდია და დათარიღებულია 1946 წლით.

არქივი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესახებ: საგვარეულო ისტორიები, ლეგენდები, საისტორიო გადმოცემები და სხვ.; მიმდინარეობს ამ მასალის ციფრულ ფორმატში გადაყვანა და იგეგმება მისი გამოცემა.

ნინო დობორჯგინიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალიტერატურო პროცესების კონცეპტუალიზაციისთვის ძველ ქართულ ტრადიციაში

ძველი ქართული ენისა თუ ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლამ, მათი ქრონოლოგიური და ჟანრობრივ-სტილური თავისებურებების კვლევამ პირველად აკაკი შანიძის, ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის ფუნდამენტურ ნაშრომებში მიიღო სამეცნიერო სისტემატიკის სახე. ეს ნაშრომები დღესაც ამოსავალ დებულებებად რჩება

ამ ტრადიციის მრავალმხრივი პრობლემატიკის კვლევაში. ამასთანავე, სწორედ ისინი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას, ახალი მეთოდოლოგიური პერსპექტივებიდან ვიკვლიოთ ეს მართლაც უმდიდრესი ენობრივ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ამ პოზიციიდან თუ შევხედავთ ძველი ქართული სამწერლობო ენის ისტორიას, აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს სხვა ენებთან ერთად, მისი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს სამართლიანად აკავშირებენ, მეტიც, აიგივებენ მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიასთან (Keipert, Sprachgeschichte als Übersetzungsgeschichte, 1982). სწორედ ამ ტრადიციის სრული კომპენდიუმია კორნელი კეკელიძის უმნიშვნელოვანესი წიგნი: უცხოელი ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში (ეტიუდები, ტ. V), რომელშიც ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურა კონცეპტუალიზებულია, როგორც **უცხოური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი, ტექსტების ისტორიისთვის მეტად ღირებული საცავი.**

კორნელი კეკელიძის ეს ამოსავალი დებულება აუცილებლად გულისხმობს ამ ტრადიციის შესწავლას, გააზრებას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსპექტივებიდან. პირველ ყოვლისა, იგულისხმება ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის, როგორც **სალიტერატურო პროცესების** დოკუმენტირება, შესაბამისად, მისი კონცეპტუალიზება და კვლევა; ეს უკანასკნელი ამ ლიტერატურის არანაკლებ საინტერესო მხარეა უცხოელი ავტორების ქართულად არსებული რედაქციების შესწავლასა და ტექსტის ზოგადი ისტორიისთვის მათი მნიშვნელობის წარმოჩენასთან ერთად. სტატიაში ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ამგვარად გააზრების პრობლემებია განხილული.

კარინა ვამლინგი, მაკა თეთრაძე
მალმოს უნივერსიტეტი, თსუ დოქტორანტი

ჰანს ფოგტის ქართველოლოგიური კვლევის დასაწყისი და აკაკი შანიძე

ცნობილი ნორვეგიელი ენათმეცნიერის ჰანს ფოგტის კავკასიური ენებით დაინტერესება 1920-იანი წლების ბოლოს ქართულით დაიწყო. 1932 წელს მან მოიპოვა ნორვეგიის მთავრობის სტიპენდია და საქართველოში ჩამოვიდა, სადაც ქართული და სვანურის შესწავლას შეუდგა. ძველ და ახალ ქართულს მას აკაკი შანიძე ასწავლიდა, ხოლო სვანურს – ვარლამ თოფურია.

ჩვენი მოხსენების მიზანია ქართულ საზოგადოებას წარვუდგინოთ ოსლოში 2016 წლის 27-29 აპრილს კვლევითი ვიზიტის¹ ფარგლებში მოპოვებული საარქივო მასალის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის ჰანს ფოგტს და დაცულია ნორვეგიის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სახელმწიფო არქივში.

ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილებაში დაცულ ჰანს ფოგტის არქივში, სხვა მნიშვნელოვან მასალასთან ერთად, დაცულია მისი სამუშაო რვეულები თანამედროვე და ძველი ქართულისთვის. სავარაუდოა, ეს რვეულები ასახავდეს მის მიერ თბილისში ყოფნის დროს გაკეთებულ კონსპექტებს. სამუშაო რვეულებში ფონეტიკიდან დაწყებული მორფოლოგიური კატეგორიებით გათავებული განხილულია ქართული ენის თავისებურებები, გაკეთებულია დამატებითი შენიშვნები და კითხვები. როგორც ცნობილია, ჰანს ფოგტის სადისერტაციო ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც 1936 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოიცა, აკაკი შანიძის 1930 წლის ქართული ენის გრამატიკას ეყრდნობა. ეს რვეულები შეიძლება საინტერესო მასალას შეიცავდეს ა. შანიძის 1930 წლის გრამატიკისა და ჰ. ფოგტის მონოგრაფიის შესადარებლად. ამიტომაც, რვეულების დაწვრილებითი შესწავლა საშური საქმეა.

გარდა ამისა, მოხსენებაში წარმოვადგენთ ნორვეგიის სახელმწიფო არქივში დაცულ ჰანს ფოგტის ანგარიშებს, რომლებსაც თბილისიდან 1932-1933 წწ.-ში სისტემატურად გზავნიდა ოსლოს შედარებითი კვლევების ინსტიტუტის დირექტორთან ფრედრიკ სტანთან. წერილებში ხშირად მოხსენიებულია აკაკი შანიძე, როგორც მისი პედაგოგი.

ჰანს ფოგტის წერილებიდან ჩანს, რომ აკაკი შანიძე ხელმძღვანელობდა მის მუშაობას საქართველოში ყოფნისას და მუდმივად რჩევებს აძლევდა. მაგალითად, ფრედრიკ სტანისადმი 1932 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ფოგტი წერს, რომ პროფესორი შანიძის დახმარებით ის დაუკავშირდა ქართველ სტუდენტებს, რომელთაც სურვილი აქვთ ასწავლონ ქართული და ქართულის დიალექტები. შანიძისავე რჩევით, ფოგტი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და კრებდა დიალექტურ მასალას.

¹ სამეცნიერო ვიზიტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საბჭოთა უტოპიური ენობრივი თეორიები და ზოგადი ენათმეცნიერების პირველი ქართული სახელმძღვანელოები: 1918-1950 წლები“ (№ FR/503/1-30/14) - ფარგლებში.

**კოლოკაციათა სახეები და ფუნქცია ორენოვან თარგმნით
ლექსიკონებში**
(ქართულ-გერმანული ლექსიკონის მიხედვით)

თარგმნითი ლექსიკონების უპირველესი დანიშნულებაა ლექსიკურ ერთეულთა სრული გრამატიკულ-სემანტიკური და სტილისტური დახასიათება, რომ მომხმარებელმა შეძლოს მათი სწორი გამოყენება ზეპირ თუ წერით მეტყველებაში.

ორენოვანი ლექსიკონის მთავარი საშუალებაა თარგმნითი ეკვივალენტების მოძებნა, მაგრამ ძალზე მცირეა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აბსოლუტურ სინონიმებად მიიჩნევა სხვადასხვა ენაში; ამიტომ ლექსიკოგრაფი იშველიებს დამხმარე საშუალებებს სიტყვის დეფინიციის შესავსებად და დასაზუსტებლად.

ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა **კოლოკაცია** - სინტაქსურად და სემანტიკურად მთლიანი ერთეულის ნიშნების მქონე სიტყვათშეხამება. მისი ერთი კომპონენტის არჩევა ხდება შინაარსის მიხედვით, მეორე კი უკვე პირველზეა დამოკიდებული.

კოლოკაციების მითითება ყველაზე გავრცელებული ხერხია განმარტებითს ლექსიკონებში (განსაკუთრებით, სასწავლო ლექსიკონებში). ესაა სემანტიკური შეხამებულობის ჩვენება, რაც ხელს უწყობს ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობის დაზუსტებას.

კოლოკაციებს განარჩევენ **შედგენილობისა** (კომპონენტებისა) და **სემანტიკის** მიხედვით:

I. **პირველ** ჯგუფში ერთიანდება **ზმნურ-სახელური, ატრიბუტული** და **ადვერბული** (ზმნიზედური) კოლოკაციები (ე. ბიალეკი), ზოგჯერ გამოყოფენ მხოლოდ ორ ტიპს: ზმნურსა და სახელადს კოლოკაციებს. მათი კლასიფიკაცია ხდება ძირითადი (უცვლელი) კომპონენტის მიხედვით.

ა. **ატრიბუტულ** კოლოკაციებში შედის შეთანხმებულ- და მართულ-მსაზღვრელიანი შესიტყვებები: Adj+N; N(Gen)+N.

ბ. **ზმნურ-სახელურ** კოლოკაციათა ტიპში ზმნასთან დაკავშირებულია სუბიექტი ან ობიექტი (უთანდებულო და თანდებულიანი სახელები): V+N(Nom); V+N(Dat); V+N(Inst);

გ. ადვერბულ კოლოკაციებში ზმნასთან დგას ზმნიზედა ან მისი ფუნქციით გამოყენებული თანდებულიანი სახელი: V+N(+Post); Adv+V.

ქართულ-გერმანულ ლექსიკონში თვალში საცემია კოლოკაციათა სიმრავლე არსებით სახელებთან, რაც განაპირობა გერმანულ ენაში ისეთ კომპოზიტთა არსებობამ, რომლებსაც ქართულ ენაში სინტაგმები შეესაბამება.

დ. მუდმივკომპონენტის კოლოკაციები იგივე იდიომატური გამოთქმებია, რომელთა კომპონენტების ჩანაცვლება არ შეიძლება.

II. კომპონენტური კლასიფიკაციის გარდა, იყენებენ კოლოკაციის ფუნქციურ-სემანტიკურ ანუ შინაარსობრივ ტიპებსაც: ტრადიციულს, ექსპრესიულს, ოკაზიურს, ეთნოკულტურულსა და ტერმინოლოგიურს (მ. ვლავაცკაია).

ქართულ-გერმანულ ლექსიკონში უპირატესობა მიენიჭა ტრადიციულ, ეთნოკულტურულსა და ტერმინოლოგიურ კოლოკაციებს.

ლექსიკონში გამოყენებულია ყველა ტიპის კოლოკაცია, როგორც თარგმნითი ეკვივალენტების შემავსებელი საშუალება. ხშირად ასეთი კოლოკაციები ასახავს ლექსიკურ ერთეულთა სისტემურ მიმართებას, ტაქსონომიურ დამოკიდებულებას. ჰიპერონიმებთან ჰიპონიმთა დასახელება ავსებს და აზუსტებს სალექსიკონო ერთეულის, ლემის, სემანტიკას. ასეთ კოლოკაციათა ნაწილი ტერმინოლოგიური შესიტყვებაა.

მაგ., სიტყვა აბრეშუმ-თან დასახელებულია კოლოკაციები: ხელოვნური, ~ის დახვევა, ~ის პარკი, ~ის სართავი ქარხანა, ~ის სარჩულიანი, ~ის (საქსოვი) ფაბრიკა, ~ის ქსოვილი, ~ის ძაფი; სიტყვასთან აბსოლუტური: სიდიდე, სიჩქარე, უმრავლესობა, უფლება; აკადემია: მეცნიერებათა, სამხედრო, ხელოვნების, ~ის წევრი; ამოღება: კარტოფილის/ხახვის, წყლის, მადნის, იარაღის, ვალების, კენჭის, ნახველის, (მიმოქცევიდან) ფულის, ფესვის; მყარი შესიტყვებები: ხმის, ხმარებიდან, ნიშანში, მიზანში, თვალში.

მანანა თანდაშვილი

ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი

აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე

მეცნიერების განვითარება 21-ე საუკუნეში სინერგეტიკულობით ხასიათდება. ციფრული ტექნოლოგიების გაჩენამ და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვამ დიდი მოცულობის ემპირიული მასალის (BIG

DATA) ავტომატური დამუშავების შესაძლებლობები შექმნა და ჰუმანიტარული კვლევების თვისებრივად ახალ ფორმატს დაუდო სათავე - ინტერდისციპლინური კვლევებიდან მეცნიერება ტრანსდისციპლინურ კვლევებზე გადავიდა.

მოსხენებაში განხილული იქნება ენათმეცნიერებაში აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტის დიგიტალურ ჰუმანიტარიაში ტრანსფორმირების საკითხი და დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარების აუცილებლობა.

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტორპუსი“ - პროექტის კონცეფცია და განხორციელების გზები

დღეს, როცა დიგიტალურმა ეპოქამ მეცნიერების ყველა დარგი „გააციფრა“, ენის ელექტრონულ დოკუმენტირებას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ლინგვისტური კვლევების განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, დღეს საგანმანათლებლო სისტემაში ელექტრონული რესურსების არსებობის გარეშე თითქმის შეუძლებელია სწავლების თანამედროვე მეთოდების შემოტანა და დანერგვა. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლივი პროექტი „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტორპუსი“ სწორედ ამ საჭიროებებს მორგებული მრავალფუნქციური პროექტია, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, თანამედროვე ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოს აკაკი შანიძის შრომების ელექტრონული სახით ხელმისაწვდომობა და ამით დაეხმაროს სტუდენტებს თავიანთი საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებაში, მეორე მხრივ, აკაკი შანიძის სამეცნიერო შრომების ტექსტურ მონაცემთა ბაზის შექმნით ხელი შეუწყოს ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსლინგვისტური კვლევების განვითარებას. პროექტი ხორციელდება ქართული ფილოლოგიის სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აქტიური ჩართულობით, რაც გამოკვეთს მის კიდევ ერთ - დიდაქტიკურ მიზანს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება პროექტის კონცეპტუალური ხედვა, რა რესურსებს უნდა მოიცავდეს აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიო-

თეკა და ტექსტკორპუსი, ვინ უნდა იყოს მისი მომხმარებელი, რა სამომხმარებლო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი და როგორი იქნება პროექტის განხორციელების გზები.

მარინე ივანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე

ყოველი მეცნიერული თეორია არის განსახილველი ობიექტის ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებათა მწყობრი სისტემა. დროთა განმავლობაში იცვლება ხედვა საკვლევ ობიექტზე, იქმნება ახალი თეორიები, ახალი პარადიგმა ცვლის ძველს და პარადიგმათა ამგვარი მონაცვლეობა განაპირობებს მეცნიერების განვითარებას, მის ახალ საფეხურზე ასვლას. მეცნიერების ისტორია განისაზღვრება იმ იდეების საფუძველზე, რომლებიც მკვიდრდება. ახალ თეორიას ძველი თაობა, როგორც წესი, ძნელად იღებს, მაგრამ ესეც ბუნებრივია. საზოგადოდ, ასეა მეცნიერების ყველა დარგში, ასეა - ენათმეცნიერებაშიც.

ენათმეცნიერების განვითარების გზაზე იცვლებოდა მიდგომები ენის შესწავლისადმი, შესაბამისად, ენობრივი ანალიზიც სხვადასხვა თვალსაზრისით ხდებოდა, სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული რაკურსით. თამაზ გამყრელიძე თეორიული ენათმეცნიერების ისტორიას განიხილავს, როგორც „მეცნიერულ პარადიგმათა“ ერთგვარ მონაცვლეობას დროსა და სივრცეში და წარმოდგენილი შვიდი პარადიგმიდან IV პარადიგმის ფარგლებში ასახელებს ფერდინანდ დე სოსიურის „სინქრონიულ ლინგვისტიკას“:

ა) სტრუქტურული ლინგვისტიკა (ნ. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი);

ბ) დესკრიფციული ლინგვისტიკა (ლ. ბლუმფილდი და ამერიკელი სტრუქტურალისტები...);

გ) ენობრივი ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალიები (ჯ. გრინბერგი, გ. კლიმოვი...) (თ. გამყრელიძე 2008).

სტრუქტურული ლინგვისტიკის დიფერენციალური ნიშან-თვისებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ოთხი პრინციპის მიხედვით:

1. დისკრეტულობის პრინციპი: ენა შედგება სასრული რაოდენობის დისკრეტული ელემენტებისგან;

2. სტრუქტურულობის პრინციპი: ენა წარმოადგენს დისკრეტული ელემენტების არა რაღაც მოუწესრიგებელ სიმრავლეს, გროვას, არამედ გარკვეული წესით ორგანიზებულ სისტემათა ერთობლიობას, ანუ სტრუქტურას, სადაც თითოეული ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან მიმართებაში;

3. ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპი: ენის თვალსაზრისით იდენტურია ის, რაც ფუნქციურად ეკვივალენტურია. ფორმალური იგივეობა (ე.ი. იგივეობა გამოხატულებისა) არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისთვის;

4. სინქრონიულობის პრინციპი: ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, მათი გაერთიანება სტრუქტურულ კლასებში და მათ შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სინქრონიული ანალიზის საფუძველზე. დიაქრონია განიხილება როგორც ცალკეულ სინქრონიულ ჭრილთა თანმიმდევრობა დროში, ანუ, უფრო ზუსტად, როგორც პროცესი გადასვლისა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორეში.

ზემოხსენებულ ოთხ პრინციპს ემყარება ენის სტრუქტურული ანალიზის მთელი პროცედურა, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ცდილობს გამოყოს ენობრივი ერთეულები და კატეგორიები და აღმოაჩინოს მათ შორის არსებული ფუნქციონალური დამოკიდებულებანი (გ. მაჭავარიანი 1967).

მოხსენებაში წარმოვადგენთ აკ. შანიძის მიერ ენის კვლევის სტრუქტურალისტური მიდგომების ძირითად ასპექტებს.

იგორ კეკელია

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძიებანი აფხაზეთის ტოპონიმიიდან (ბაბუშარა, კინდლი, შხურლაჭი, ჩეგემი)

მოხსენებაში წარმოვადგენთ აფხაზეთის რამდენიმე ტოპონიმის ისტორიას და ეტიმოლოგიურ ანალიზს.

ბაბუშარა ეწოდება სოფელს აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე. სოფელი მდებარეობს შავ ზღვასთან მდ. პატარა კოდორის შესართავთან. ვ. ზუხბაიას განმარტებით, სოფლის სახელწოდება **ბაბუშარა** მეგრულად „ბაბუას გზას“ ნიშნავს. როგორც ჩანს, **-შელ**, **-შერ** საერთოქართველური ფუძე უნდა ყოფილიყო. თ. მიბჩუანის მოსაზრებით,

ტოპონიმი „ბაბუშერა“ სვანური წარმომავლობისაა. შერა სვანურში საკუთრების ფორმის გამომხატველია. პ. ცხადაია შენიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში საიჯარო მიწა შეიძლებოდა ყოფილიყო თანაბარსაზიარო, სამესამედო, სამეოთხედო. თანაბარსაზიაროდ, სანახევრო წილით დასამუშავებელი საიჯარო მიწა **საშელოდ** იწოდებოდა. ამ სამეურნეო-სამიწათმოქმედო ტერმინის ამოსავალი ფუძე **შელ-** შინაარსით ქართული **ზიარ-** ფუძის შესატყვისია, მასალობრივად კი იმერულ „სეულნ მორფემოდს შეიძლება უკავშირდებოდეს. მაშასადამე, **შელი** ზიარია, წილია. ამასთანავე, **-შერ** ვისიმე ოჯახისადმი კუთვნილების გამომხატველი სუფიქსია სვანურში.

კინდლი სოფელია ოჩამჩირის რაიონში, შავიზღვისპირა დაბლობზე. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ შუასოფლის მხარეში, ტამუშის დასავლეთით, მდ. ლაგუაშის ნაპირზე მდებარე სოფელ კინდლის ძველი სახელწოდება იყო კანდახი. მდ. ლაგუაშს კანდახა რქმევია. მკვლევარი იმოწმებს აგრეთვე საინგილოში, ზაქათალის რაიონში მდებარე სოფლის სახელწოდებას - კანდახი, მაგრამ არაფერს ამბობს თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე. კინდლის მოტივაციაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია და საყურადღებოა სამურზაყანოს მეგრულში **კინდლის**, როგორც საზოგადო სიტყვის, ორგვარი მნიშვნელობა, რაც მოცემულია მეგრულის სალექსიკონო მასალებში: 1. დაბალი, რამდენადმე მოსწორებული ადგილი; 2. ეკალ-დიჭი, ჩაგვერა.

შხურდაჭი. ვ. ზუხბაია მთის სახელწოდებად მიუთითებს ტოპონიმს - **შხურიდაჭი** და სიტყვასიტყვით თარგმნის: „ცხვარი გაკრიჭე“. სინამდვილეში შხურდაჭი უნდა გავიაზროთ, როგორც „ცხვრის საკრეჭი (ადგილი)“. შდრ.: **შხურიშ ოლაჭუე** „ცხვრის საკრეჭი (ადგილი)“ - 1. დავაკება კოხორის საზღვართან, სოფ. მუხურში; 2. დავაკება ოსირეში, სამურზაყანოს მთაში; 3. **ვასასართა// შხურიშ ოლაჭუე** - დავაკება სოფ. ნარჯხეუში; **შხურნადაჭა** - მინდორი ტალერის სატყეოში.

ჩეგემი. ვ. ზუხბაია სოხუმის რაიონში ასახელებს ქედს ჩედიმის სახელწოდებით, იმოწმებს ხალხურ მოტივაციასაც: ერთ ადგილას ქედი თეთრია და ჰგავს დევს. **ჩედეში** მეგრ. „თეთრი დევი“ შემდეგ, თითქოს, ჩედიმით შეიცვალა. ჩვენი აზრით, ტოპონიმის თავდაპირველი ფორმა ჩეგემი უნდა ყოფილიყო. ჩეგემი მეგრულში იგივეა, რაც „უფსკრული“. შდრ.: ჩეგემი//წიფრონა - ტყე-ხევი სოფ. ფახულანში; 2. ხეობა და მდინარე სოფ. დიხაზურგაში. აქვე მოედინება ღელე ჩეგემღალ. ჩაგ'ამ ეწოდება სოფ. ჯგერდის ერთ უბანს, ჩრდილოეთ კავკასიაში კი მდ. ყუბანის აუზში არის ჩეგემის ხეობა.

აგებულების მიხედვით ზმნათა შენაცვლება ტიპოლოგიურ კონტექსტში

აკაკი შანიძე თავისებურ ზმნათა დახასიათებისას გამოყოფს აგებულების მიხედვით შენაცვლებას. იგი მიუთითებს, რომ მეშველი ზმნა არის აბსოლუტური აგებულებისაა, რელატიური ფორმები არ გააჩნია და ამ ნაკლს მაქვს, მყავს ზმნებით ივსებს. არის ზმნიან ფორმებს აკაკი შანიძე მიუძღვრავს ფორმებს უწოდებს, ხოლო ქონა-ყოლის ზმნიან ფორმებს – მიმართებითს:

მიუძღვრავი ფორმები

ჩემი სადილი დამზადებულია.

დავითის მამა ავადმყოფია.

მიმართებითი ფორმები

სადილი დამზადებული მაქვს.

დავითს მამა ავადმყოფი ჰყავს.

არის ზმნიანი და ქონა-ყოლის ზმნიანი კონსტრუქციები დიდ ფუნქციურ სიახლოვეს გვიჩვენებს სხვა შემთხვევებშიც და ეს, როგორც ჩანს, მხოლოდ ქართულისათვის არაა დამახასიათებელი. საუბარია კონსტრუქციებზე, რომლებიც მქონებლობას, კუთვნილებას გამოხატავს (პოსესიური კონსტრუქციები):

(1) წიგნი არის ბიჭის.

(2) ბიჭს აქვს წიგნი.

ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა ჯ. ლაიონზმა და აჩვენა გარკვეული პარალელიზმი, რომელიც არსებობს ეგზისტენციალურ, ლოკატიურ და პოსესიურ კონსტრუქციებს შორის.

ლაიონზის ნაშრომმა სათავე დაუდო ადნიშნული პრობლემატიკის კვლევას და შემდგომში მყოფობა-არსებობა-მქონებლობის სემანტიკური ველი აქტიურად შეისწავლებოდა სხვადასხვა კუთხითა და მეთოდოლოგიით. უკანასკნელ ხანს კვლავ გააქტიურდა ამ საკითხებით დაინტერესება, მათ შორის, კოგნიტიური ლინგვისტიკისა და კონსტრუქციული გრამატიკის ფარგლებში.

არსებობისა და მქონებლობის კონსტრუქციათა კვლევისას ფუნდამენტურ ტიპოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მქონებლობის სემანტიკურ სტრუქტურაში განირჩევა საკუთრივ კუთვნილებისა და ფლობის სემანტიკა, ერთი მხრივ, და არსებობის სემანტიკურ სტრუქტურაში – მყოფობისა (ლოკატიური) და არსებობისა (ეგზისტენციალური), მეორე მხრივ.

მხსენებაში განხილულია, თუ რა ტიპის კონსტრუქციებით აისახება ეს სემანტიკური სტრუქტურები სხვადასხვა ენაში.

მეგრული გაშაირების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები

მოხსენებაში საუბარია მეგრული გაშაირების ტექსტზე, რომლის სამი ვერსია არსებობს; ერთ-ერთი ვარიაციის სახელდებაა ჯამუ დო კოკეიხემ ლერსი „ჯამუ და კოკაიას ქალის (ასულის) ლექსი“. გაშაირების ექსტრალინგვისტური მონაცემები საინტერესოდ წარმოაჩენენ ტექსტის ჩაწერის ისტორიას, ტიპოლოგიურ და თემატურ მახასიათებლებს. ცნობილია, რომ მეგრულში, ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოიყოფა აღმოსავლური, ცენტრალური და დასავლური არეალისთვის დამახასიათებელი დიალექტური მეტყველება. საანალიზო ტექსტის ვარიაციები სამ სხვადასხვა არეალშია ჩაწერილი, დროში მცირეოდენი სხვაობით. ამ შემთხვევაში ტექსტის ენობრივი მრავალფეროვნების განმსაზღვრელია არა ქრონოლოგიური, არამედ არეალური სხვადასხვაობა, რომელსაც ემყარება მეგრულის დიალექტური დაყოფა საერთოდ; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც გაშაირება ლექსად დაწერილი ფოლკლორული ნიმუშია, როგორც ენობრივი ანალიზი გვიჩვენებს, მეგრული ლექსწყობის მკაცრად მოწესრიგებული სისტემის გამო, ტექსტში ყოველთვის არ არის ასახული დიალექტური სხვაობა; იგი ზოგჯერ ნიველირებულია.

გაშაირების ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, ლინგვისტური მახასიათებლების გამოსაყოფად და საბოლოო სანდო დასკვნებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ექსტრალინგვისტური მონაცემებიც.

ლიანა ლორთქიფანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენის ლექსიკური სისტემა GEWORDNET თესაურუსში

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში WordNet ყველაზე ფართოდ გავრცელებული ლექსიკურ მონაცემთა ბაზაა. მას საფუძვლად დაედო 1996 წელს პრინსტონის უნივერსიტეტის კოგნიტიურ მეცნიერებათა ლაბორატორიაში დამუშავებული ადამიანის მენტალური ლექსი-

კონის მოდელი, რომელიც დღეს ყველაზე ავტორიტეტული და ფართო გამოყენების სტანდარტია ლექსიკო-სემანტიკური მონაცემების ბაზის ასაგებად. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერ ხორციელდება ქართულ სიტყვათა ქსელის კომპაილერი - GeWordNet.

WordNet სახის ლექსიკონებში სიტყვათა ქსელისთვის დამახასიათებელია ორი სახის სემანტიკური მიმართება: ლექსიკური (სიტყვა – სიტყვა) და კონცეპტუალური (კონცეპტი – კონცეპტი). მოხსენებაში შევხებით ქართული ენის ლექსიკური სისტემის წარმოდგენას კონცეპტების ლექსიკონში CD (Concepts Dictionary). განვიხილავთ GeWordNet თესაურუსისთვის CD-ს კონსტრუირების მეთოდებს. აღვწერთ ლექსიკონის ერთეულების და მათი ურთიერთკავშირების ძირითად პრინციპებს. მართალია, GeWordNet ლექსიკონი მჭიდროდაა დაკავშირებული პრინსტონის WordNet ლექსიკონთან, მაგრამ ის, როგორც დამოუკიდებელი რესურსი, საკმაოდ ღირებულია სამეცნიერო და გამოყენებითი ლინგვისტური ამოცანების გადასაჭრელად. ჩვენ შეძლებისდაგვარად აღვწერთ სხვადასხვა სფეროში GeWordNet-ის გამოყენების შესაძლებლობებს.

ქეთევან მარგიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სვანური ენის კოდორული მეტყველების ერთი სპეციფიკური მოვლენისათვის

კოდორის (resp. დალის) ხეობაში საუკუნე-ნახევრის წინ ზემო სვანეთიდან საცხოვრებლად გადასული ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოს წარმომადგენლები, ტერიტორიის ოკუპაციამდე, სოფლების მიხედვით უმთავრესად ერთმანეთში იყვნენ შერეული, რამაც გამოიწვია მათ მეტყველებაში ერთი დიალექტის მიმსგავსება მეორის მიერ; ინტერფერენციამ ადსტრატის (ბ. ჯორბენამე) სახე მიიღო – განვითარდა ცოცხალი, აქტიური პროცესი ერთი ენის ორი დიალექტის თავისუფალი ურთიერთშეღწევადობისა.

ინტერფერენცია შეეხო ლექსიკას, ფონეტიკას (გრძელი ხმოვნების უგულვებლყოფა წარმოშობით ბალსზემოელი მთქმელების მიერ და პირიქით), მორფოლოგიას (ბალსქვემოური დიალექტისთვის უჩვეულო ორფუ-

ძიანი ნათესაობითის ფორმების ინტენსიური გამოყენება ბალსქვემოელე-ბის შთამომავალ კოდორელთა მიერ, მწკრივთა წარმოება...), თუმცა გამოიკ-ვეთა კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც კილოთა შერევით ვერ აიხსნება; როგორც ცნობილია, სვანურ ენაში არსებობს ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც აისახება არა მარტო ზმნაში, არა-მედ კუთვნილებით ნაცვალსახელშიც.

ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა თანამედროვე სვანურ დიალექტებში განსხვავებულია: ქვემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში აქვს ადგილი, ზემოსვანურ დიალექტებში კი – როგორც სუბიექტური, ისე ობი-ექტური პირის ფორმებში.

კოდორის ხეობაში მოსალოდნელი არ იყო ინტერფერენციული ცვლი-ლებები ზმნის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით, ვინაიდან აქ მხოლოდ იმ კილოთა წარმომადგენლები მო-სახლეობდნენ, რომლებმაც ეს კატეგორია ცოცხლად შემოგვინახეს. აღმოჩ-და, რომ, საანალიზო კატეგორია, ენგურის ხეობის სვანურისაგან განსხვავე-ბით (სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრად გამიჯნულია), კოდორელ სვანთა მეტყველებაში რყევას განიცდის – ისინი ხშირად ურევენ ერთმანეთში ზმნის ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორ-მებს, რაც კატეგორიის პოზიციათა შესუსტების გამოვლინებად მიგვაჩნია (და არა იდიოლექტად)¹.

კოდორელ სვანთა მეტყველებაში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების „აღრევა“ ინოვაციის იერს ატარებს და ფორმათა უნიფიკაციის პროცესს წააგავს, რომლის ხელშემწყობი ფაქტორი, შესაძლოა, ქართულთან ანალოგია იყოს (ხეობის მაცხოვრებლებს 2008 წლის მოვლენებამდე ყო-ველდღიური და საქმიანი ურთიერთობა სწორედ აფხაზეთის ქართულენო-ვან მოსახლეობასთან ჰქონდათ, ახლა კი ისინი კომპაქტურად მხოლოდ ერ-თეულ ადგილებშიღა ცხოვრობენ); ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გვ- O1 ქართულ და გწ O1 სვანურ პრეფიქსთა მატერიალური მსგავსება: ანო-მალის შემთხვევაში სწორედ ობიექტის ინკლუზიური გწ პრეფიქსიანი ფორმა იკავებს ექსკლუზიური – ნ'პრეფიქსიანი ფორმის ადგილს;

2 ეს მოვლენა დადასტურდა როგორც 2008 წლამდე საკუთარ საცხოვრისში, ასევე უკვე დევნილობის პირობებში მცხოვრებ კოდორელ სვანთა ჩვენ მიერ ჩაწერილ მეტყველების ნიმუშებში; ჯერჯერობით ტენდენცია ეხება მხოლოდ ზმნას და მხოლოდ ობიექტური წყობის ექსკლუზივს.

ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას, რომ კოდორელ სვანთა მეტყველებაში ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს ის პროცესი, რაც ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო.

დამანა მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამი დიათეზისა და სამი სერიის ურთიერთმიმართებისათვის

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სამი დიათეზისა და სამი სერიის მიხედვით მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის თანაზომიერება და დიათეზებისა და სერიების თითოეულ ჯგუფში გრამატიკული და სემანტიკური კატეგორიების ურთიერთმიმართება: კერძოდ, სემანტიკური მარკირების ისტორიული განვითარებისა და მარკერების გრამატიკული და სემანტიკური ფუნქციების.

მერი ნიკოლაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პერფექტული სემანტიკის ზმნებისა და მესამე სერიის ფორმათა საკითხისათვის ქართულში

ცნობილია, რომ ქართული ზმნის III სერიის ყველა მწკრივი პერფექტული სემანტიკისაა, ფორმით კი ძალიან მრავალფეროვანია. გარდამავალი ზმნები ინვერსიას განიცდიან, გარდაუვლები აღწერით აწარმოებენ ფორმებს, გარდამავალი ზმნებისათვის დამახასიათებელია დატიური კონსტრუქცია, გარდაუვალისათვის - ნომინატიური და ა შ.

არნ. ჩიქობავას აზრით, დატიური კონსტრუქციის გარდაუვალი ინვერსიული ზმნები (ჰგავს, ჰყავს, სძულს ...) უფრო ძველია, ვიდრე დატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნებთან, უფრო ძველია, ვიდრე ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია, იმავე გარდამავალი ზმნებისა (არნ. ჩიქობავა). რაც შეეხება ინვერსიას, ჩვენი აზრით, საკითხი ეხება აქტანტა ანუ „პირთა ვითარების“ გარკვევას. თ. უთურგაიძე აქტანტა მარკირებას ქართული ზმნის ფორმებში კაუზატივის კატეგორიის მიხედვით განსაზღვრავს. სუბიექტის ნიშანს ატარებს ინციატორი აქტანტი. სუბიექტი შეიძლე-

ბა მოქმედი იყოს ან არ იყოს მოქმედი, მაგრამ ინციატორობა მისთვის აუცილებელია. სიტუაციის შემქმნელი გათანაბრებულია ინციატორთან და ზმნის ფორმაში სუბიექტის ნიშნით გამოიხატება. ის აქტანტი კი, რომელსაც სიტუაცია ექმნება, ირიბი ობიექტია (თ. უთურგაიძე). წინადადებაში: ნიკოს მოსწონს თინა თინა სიტუაციის შემქმნელია, ანუ სუბიექტია; ნიკო, რომელსაც ექმნება სიტუაცია, ირიბი ობიექტია. ამ ტიპის ზმნები ხასიათდება პერფექტული სემანტიკით: ჯერ თინა არსებობს, ხოლო შემდეგ ნიკოს დამოკიდებულება. ცნობილია, რომ სტატიკური ზმნები პერფექტული სემანტიკისაა.

გარდამავალი ზმნის I თურმეობითის ფორმები გარდაუვალი სტატიკური ზმნების აწმყოს სრული ანალოგიაა. გარდამავალი ზმნის I თურმეობითის წარმოებაში არ გვხვდება არც ერთი ისეთი ყალიბი, რომელიც არ გვქონდეს სტატიკური ზმნის აწმყოში, ხოლო გარდამავალი ზმნის II თურმეობითი და III კავშირებითი პრეფიქსიანი ვნებითის შესატყვის რელატიურ ფორმებს ემთხვევა, რომლებიც იმ სტატიკური ზმნების შენაცვლებულ ფორმებს წარმოადგენენ.

მაშასადამე, გარდამავალი ზმნის III სერია მიღებული ჩანს სტატიკური ვნებითის აწმყოსა, ნამყოსა და კავშირებითისაგან, მხოლოდ მნიშვნელობის ევოლუციის შედეგად (ნ. ნათაძე).

როგორც აღნიშნული იყო, სტატიკური ზმნები პერფექტული სემანტიკისაა და, როდესაც ენას დასჭირდა პერფექტული ფორმების წარმოება, გამოიყენა ენაში არსებული პერფექტული სემანტიკის ზმნების ყალიბი და აწარმოა აღნიშნული ფორმები შესაბამისი კონსტრუქციით (ამიტომაც უძველესი დატიური კონსტრუქციის გარდაუვალი ზმნები, ხოლო III სერიის ფორმები შედარებით ახალი). ისინი სინამდვილეში I სერიის სტატიკური ზმნების კონსტრუქციას მიჰყვებიან (S-სახ.ბრ., Oირ.-მიც.ბრ. Oპირ.-მიც.ბრ., ფორმით გათანაბრებულია პაციენსი და რეციპიენტი).

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ე. წ. III სერია არ წარმოადგენს I და II სერიის გაგრძელებას. ეს არის ზმნათა სისტემის ცალკე რგოლი, კერძოდ, პერფექტი (ისე, როგორც ეს არის სხვა ენებში) და მისი კონსტრუქცია არ არის დამოკიდებული I და II სერიაზე.

**„მცირით დაწყებული დიდი საქმე“ –
დისერტანტ აკაკი შანიძის შესავალი სიტყვა**

1920 წლის 9 მაისს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის დაცვისას აკაკი შანიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა მნიშვნელოვან მასალას შეიცავს კონცეპტ „ქართული ენის“ აღსაწერად.

დისერტანტი, ეროვნული სამეტყველო ეტიკეტისა და სამეცნიერო ეტიკეტის სრული დაცვით, თავდაბლად აღნიშნავს: „ბედნიერი ვარ უზომოდ, მაგრამ ამასთანავე ერთად მაფიქრებს ერთი გარემოება: ვაი თუ ჩემი პატარა შრომა არ შეეფერებოდეს იმ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების დაწყება ჩვენში. მაფიქრებს ეს გარემოება, მაგრამ თანაც ის მაძლევს გამბედაობას და მიმატებს მხნეობას, რომ **დიდი საქმე** საზოგადოდ **მცირით დაწყებულა** და ამიტომ ეგების ჩემი მცირედი შრომა, რამდენადმე მაინც, აკმაყოფილებდეს დღევანდელი დღის მოთხოვნილებას“. **მცირედად** შეფასებული შრომა გახლდათ „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, ნაშრომი, რომელშიც ქართული ზმნის სტრუქტურა პირველად არის განხილული როგორც სისტემა, ნაშრომი, რომელმაც არა მხოლოდ მაშინდელ მოთხოვნებს უპასუხა, არამედ **„მცირით დაწყებულ დიდ საქმედ“** იქცა.

მოხსენებაში ვრცლად იქნება გაანალიზებული აკაკი შანიძის შესავალ სიტყვაში დადასტურებული ის ინფორმაცია, რომელიც კონცეპტ „ქართული ენის“ ნომინაციურ ველს შეავსებს სხვადასხვა მიმართულებით, სახელდობრ:

- გააფართოებს საინფორმაციო-ენციკლოპედიურ ზონას;
- გამოკვეთს ქართული ენის შესწავლა-გამოკვლევის მნიშვნელობას;
- პრაგმატიკული ველის ერთ-ერთ უბნად წარმოაჩენს ქართული ენის, როგორც თარგმანის ენის, მნიშვნელობას, როგორც დაკარგული უცხოენოვანი ძეგლების შემნახველს;
- დაადასტურებს ქართული ენის დამსახურებულ ადგილს კულტურულ ენათა შორის;
- ახალ ელფერებს შესძენს კონცეპტის ემოციურ კომპონენტს.

სოფელ ცხავატის ონომასტიკური მასალები

სოფელი მდებარეობს ქსნის ხეობაში მარცხენა მხარეს, მთის ფერდობზე. სოფლის მთელი რიგი საკითხების, მათ შორის ონომასტიკური მასალების შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები“, რომელშიც მოცემულია „ქსნის ხეობის 1774-1781 წლების ხალხის აღწერის დავთრები“. აღნიშნულ დოკუმენტში სოფელი ცხავატი ცხაოტის სახელით არის მოხსენიებული, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და ანთროპონიმული მასალით. ზემოხსენებული დავთრების მიხედვით სოფლის ძირითადი მოსახლეობა 1774 წლის აღწერით იყო ბუნტურები და ჟივიძეები, ხოლო 1781 წლის აღწერით მათ დაემატათ სუხაშვილები, ჟურულები, გოგიჩაშვილები. სოფელი დღეს დაყოფილია უბნებად; მდ. ცხავატურას მარჯვენე სახლობენ გოგიჩაშვილები - გოგიჩაანთუბანი და ჩხიკვაძეები, სუხაანთუბანში - სუხაშვილები, ბურდულები და მელითაურები; მარცხენა მხარეს გოგიაანთ უბანში ანუ გოგიაანთში - გოგიაშვილები; წინუბანში - ხურიშვილები, ბასილაშვილები და სხვა.

დღეისათვის გადაშენებული გვარებია: ბასილაშვილი, ბაშარული, მელითაური, ობგაძეები, ღარიბაშვილები, ჟურულები, ჩხიკვაძეები, ქიმსაძეები. მიუხედავად ამისა, შემორჩენილა მათი ნასახლარები და ენობრივად მათი გვარების გაფორმება -ან, -ანთ სუფიქსებით. დღეისათვის სოფელში ცხოვრობენ: ბუნტურები, გოგიჩაშვილები, გოგიაშვილები, ჟივიძეები, სუხაშვილები, ქენქაძეები, ხურიშვილები. ბუნტურები გადმოსულები არიან ხევსურეთიდან, ჟივიძეები - იმერეთიდან, ბურდულები და მელითაურები მოსულები არიან არაგვის ხეობიდან.

ტოპონიმებიდან დადასტურებული 150-ზე მეტი ერთეული სხვადასხვა შინაარსისა და წარმოშობისაა და კარგად ასახავს ამ ძველი სოფლის ყოფით რეალობას. ტოპონიმებთან მეორე კომპონენტად გვხვდება: ახო, წყარო, წყალი, ხევი, ქედი, კარი; მაგალითად, თეთრი წყარო, წისქვილების წყალი და სხვა. ტოპონიმები გაფორმებულია ნა-არ, ნა-ევ, სა-ე და სხვა აფიქსებით, რომლებიც ძველი და ახალი ქართულის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსებია.

აკაკი შანიძის რეკომენდაცია არნოლდ ჩიქობავას

საქართველოს ეროვნულ არქივში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში, დაცულია საქაღალდე, რომელშიც მოიპოვება სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის დოკუმენტები. მათში ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 1923 წელს. ამ დოკუმენტის ნაწილი შეიცავს ახსნა-განმარტებათა ტექსტებს, რემინგტონზე დაბეჭდილთ, უნივერსიტეტის რამდენიმე კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრების თაობაზე. ირკვევა, რომ ახსნა-განმარტებები შედგენილი არის განათლების სახალხო კომისარიატის მოთხოვნით 1923 წლის სექტემბერში და წარმოადგენს პასუხს შეკითხვაზე: რა ნიშნით შეარჩია უნივერსიტეტმა ესა თუ ის კურსდამთავრებული „საპროფესოროდ მოსამზადებლად?“

ერთ-ერთი ახსნა-განმარტება შეეხება „ბენედიქტე ჩიქობავას“. ეს არის მისი შემოქმედებითი პროფილის ერთობ დადებითად დახასიათება. მასში აღნიშნულია, რომ ხსენებული პიროვნება ამჟღავნებს დიდი ინტერესს როგორც ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიისადმი, ისე (და განსაკუთრებით) ენათმეცნიერებისადმი; სწავლობს ქართული ენის დიალექტებს; ამ მიმართულებით კითხულობს მოხსენებებს და გამოქვეყნებული აქვს ერთი სტატია. უნივერსიტეტის საბჭო მის მომავალს იმედით უყურებს.

ამ დოკუმენტის ტექსტი საქმეში წარმოდგენილია სამი სრული და ერთი ნაკლები ეგზემპლარის სახით, მაგრამ მათგან არც ერთი ხელმოწერილი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ხელმოწერილი ეგზემპლარი ადრესატს, განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას, წარედგინა. იმის მიუხედავად, გამოვლინდება თუ არა ეს ეგზემპლარი, ტექსტის ატრიბუცია ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია. ბენედიქტე ჩიქობავას (იგივე არნოლდ ჩიქობავას) ამ დახასიათების ავტორი, ამავე ტექსტის რეალიების გათვალისწინებით, არის პროფ. აკაკი შანიძე.

**ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ბრუნვათა შესახებ და მათი
კვალი ქართულში**

ანტიკური აზროვნებისათვის სიტყვა მთლიანია მორფოლოგიურად, ბრუნება-უღლება და სიტყვათწარმოება კი - საწყისი მდგომარეობიდან გადახრა. პლატონის „კრატილოსში“ სახელად მხოლოდ სახელობითი ბრუნვა ითვლება. სიტყვების წარმომავლობის ძიებისას სახელები მხოლოდ წრფელობით (/სახელობით) ბრუნვაშია აღებული. წრფელობითი ბრუნვაა საგნის არსის (ousiva) გადმომცემი. არისტოტელე პირველ ბრუნვას სახელებითს უწოდებს, სხვა ფორმებს კი - გადახრას, დავარდნას, დაცემას (სტოვლებმა სახელობითსაც ბრუნვა უწოდეს, რაც კრიტიკას იწვევდა ყოველთვის: როგორ შეიძლება პირდაპირი (წრფელობითი, სახელდებითი, მარტივი, ადვილობითი) ერქვას და ამავე დროს ბრუნვაც იყოს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ტერმინ სახელობითს ენიჭებოდა მეტად უპირატესობა.

ბერძნული ფონეტიკის, მეტყველების ნაწილთა თანმიმდევრობის, ბრუნვათა თუ სხვა მრავალ საკითხთა შესახებ არსებული ფილოსოფიური თუ შუა საუკუნეების, ფილოსოფიისაგან მეტ-ნაკლებად გამიჯნული, თეორიები ენის შესახებ დაწვრილებითაა გადმოცემული დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის საკმაოდ ვრცელ კომენტარებში, რომლებსაც, როგორც თანდათან იკვეთება, ზედმიწევნით იცნობდნენ ძველი ქართველი მთარგმნელები. ძველ ქართულ გრამატიკულ ტრაქტატში, ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში შემონახულია ბერძნულ ბრუნვათა ზუსტი ქართული შესატყვისები, რომლებშიც სწორედ ეს თეორიებია ასახული. ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები იკითხება ასევე ქართულ გრამატიკულ თხზულებებში. ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში წრფელობითი „არსისა არსის“ გადმომცემი და „თვითმდგომარეა“, რომელსაც „უფროვე სამართალ არს“ სახელობითი ეწოდებოდეს, სახელთა სხვა ფორმები კი არსს ვერ გადმოსცემენ, ისინი „ბრუნვილნი“ და „ქუემდებარენი“ არიან. სწორედ ანტიკურობიდან მომდინარე თეორია გახდა შემასმენელობითის ბრუნვათა რიგში დატოვების საფუძველი: შემასმენელობითი, მართალია, ფორმით სახელობითის მსგავსია, მაგრამ, მისგან განსხვავებით, „არსებისა არსის გადმომცემი“ არ არის.

როგორ განიხილავდნენ იმავე საკითხს ქართველი მთარგმნელები? ხშირია შემთხვევები, როცა ისინი, მაგალითად, ბერძნული სიტყვის აკუზატივის ფორმას მიიჩნევენ ამოსავალ ფორმად და არა სახელობითს. რა თქმა უნდა, ეს გამართლებულია ბერძნული თეორიების მიხედვით, მთარგმნელი სახელობითის ფორმას არ გამოიყენებს ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით. აქ, ბუნებრივია, ისმის საკითხი, ფუძისა და სახელობითის ფორმის განსხვავებულობა ძველ ქართულ თარგმანებში ხომ არ უნდა დავუკავშიროთ წრფელობითისა (//სახელობითის) და აკუზატივის ფორმების გარჩევის მცდელობას.

რამაზ ქურდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით

ცნობილია, რომ ევიდენციალობა უპირველესად ტექსტის კატეგორიაა და ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმანტს შორის დამოკიდებულებას გადმოგვცემს. ევიდენციალობა მთქმელის სუბიექტურ მიმართებას გულისხმობს კონტექსტთან, ანუ ინფორმაცია მთქმელისათვის პირდაპირი აღქმის შედეგია, თუ სხვა წყაროდანაა მიღებული. ამის მიხედვით პირდაპირ აღქმული (ან მასთან გატოლებული) ინფორმაცია არაევიდენციალურია, ხოლო სხვა წყაროზე დამყარებული – ევიდენციალური.

სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად ევიდენციალურობის გამომხატველად მიიჩნევენ სხვათა სიტყვებსაც. ეს საკითხი ქართულშიც მნიშვნელოვანია, კერძოდ, ევიდენციალობის თვალსაზრისით საინტერესო ენობრივ სურათს წარმოგვიდგენს -მეთქი, -თქო, ო ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი.

როგორც ცნობილია, -მეთქი ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი თავისივე ნათქვამს თუ ჩანაფიქრს იმეორებს ან გადასცემს მეორე პირს. -თქო ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი პირი ავალებს მეორე პირს, რომ მან გადასცეს ნათქვამი მესამე პირს. -ო ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როცა მთქმელი მესამე პირის ნათქვამს გადმოგვცემს.

მოხსენებაში არის ცდა სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი გაანალიზდეს სამი წევრის მიხედვით; ესენია: **I. მთქმელი,**

II. ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი, III. ინფორმაციის მიმღები. ამ წევრებისათვის ნათქვამის მნიშვნელობა ევიდენციალობის თვალსაზრისით გარკვეულია იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ნათქვამი და ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობა იგი.

ზემოთქმული ცხრილის სახით შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ.

მთქმელი	ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი	ინფორმაციის მიმღები	ნათქვამი ევიდენციალობის თვალსაზრისით
I პირი თავისივე ნათქვამს გადმოგვცემს - მეთქი ნაწილაკით		I პირი მხოლოდ-ბითში	არაევიდენციალური
		II პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
I პირი თავისივე ნათქვამს გადმოგვცემს - თქო ნაწილაკით	II პირი ორსავე რიცხვში		ევიდენციალური
		III პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
I პირი III პირის ნათქვამს გადმოგვცემს ო ნაწილაკით		I, II პირი ორსავე რიცხვში	ევიდენციალური
		განზოგადებულად ყველა	ევიდენციალური

გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონცეპტი „ინვექტივი“ ფრანგულ და ინგლისურ პარემიებში

ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოხატავენ ადამიანური ცივილიზაციის განვითარების გამოცდილებასა და შედეგს; მათში თავმოყრილია მსოფლიო ხალხთა ძირითადი ცხოვრებისეული ეტაპების მთელი სიბრძნე. ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ იმ მენტალურობის ფორმატს, რომელიც საერთოა ერთი ლონგოკულტურის წარმომადგენელთათვის. ის, რაც აერთიანებს ყველა ფრაზეოლოგიურ გამონათქვამს, არის შემფასებელი კომპონენტის არსებობა (უარყოფითის ან დადებითის). ამ თვალსაზრისით, უარყოფითობის უმაღლეს ხარისხს ფლობენ ეგრეთ წოდებული პეჟორატიული (კნინობითი) ფრაზეოლოგიური საქცევები, რომლებიც გამოხატავენ

ერთი პიროვნების მიერ სხვა პიროვნების ნეგატიურ შეფასებას (მისი გარეგნობისა, ქცევისა, ცხოვრების წესისა და ა. შ. მიხედვით) ან ნეგატიურ შეფასებას განსაზღვრული ცხოვრებისეული სიტუაციის მიმართ. სრული ნეგატიური შეფასება ვლინდება ე. წ. პეჟორატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც შეიცავენ დამამცირებელი ან ტაბუირებული მნიშვნელობის ენობრივ ერთეულებს. როგორც კვლევამ აჩვენა, პეჟორატიული მნიშვნელობის ფრაზეოლოგიური ერთეულები გადმოგვცემენ არა კონცეპტ «ინვექტივს» (ლანძღვა, სალანძღავი სიტყვა), როგორც ასეთს, არამედ ჰიბრიდული ხასითის კონცეპტ «ინვექტივს». კვლევისას გამოვყავით შემდეგი მაკროკონცეპტები და მათი სემანტიკები – კონცეპტუალური დონორები კონცეპტ «ინვექტივისათვის». ესენია ისეთი ონტოლოგიური და ანთროპოცენტრული კონცეპტუალური სფეროები, როგორებიცაა «ადამიანი», «გასტრონომია», «ლოკატიურობა», «ფერი», «ცხოველთა სამყარო».

კონცეპტუალური სფერო «ადამიანი» შეიძლება დაიყოს სამ ზონად: «ადამიანის გარეგნობა», «სხეულის ნაწილები», «აზრობრივი უნარები». მეორე კონცეპტუალური სფერო-დონორია – გასტრონომია, რომელიც ასახულია კიდევ „გასტრონომიულ“ ენობრივ ერთეულებში, სხვადასხვა ენობრივ პლასტებში, მათ რიცხვში, პარემიაშიც. შემდეგი კატეგორია, რომელიც ფორმირდება უარყოფითშეფასებიანი ფრაზეოლოგიური ერთეულების კონცეპტუალურ მახასიათებლებთან ერთად, არის „ცხოველთა სამყარო“. ამ კატეგორიაში შეინიშნება კონცეპტუალურ მახასიათებელ-დონორთა – ერთი და იმავე ცხოველთა აქტუალიზაციის ტენდენცია სხვადასხვა ლინგვოკულტურაში. „ლოკატიურობის“ კონცეპტუალური მახასიათებელი ხდება კონცეპტ „ინვექტივის“ დონორი იმ პეჟორატიული ფრაზეოლოგიური ერთეულების ფორმირებისას, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების მიერ გასაკვიცხ საქმიანობასთან. კონცეპტუალური მახასიათებელი „ფერი“ მონაწილეობს ფრაზეოლოგიური ერთეულების შექმნაში, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის გარეგნობის აღსაწერად; ეს ისეთი მნიშვნელობებია, რომლებიც ახასიათებენ განსაზღვრულ ადამიანურ მდგომარეობას.

მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტ „ინვექტივით“ ნაწარმოები ფრაზეოლოგიური გამონათქვამები აშკარად ნეგატიური და ტაბუირებულია, ისინი, სხვა ენობრივი ერთეულების მსგავსად, შედიან ნაციონალურ ლინგვოკულტურათა საერთო კულტუროლოგიურ ფონდში.

შენიშვნები ოშკის ბიბლიის შესახებ

ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში ბიბლიური კრებულების (ძველი და ახალი აღთქმის) შედგენილობისა და წიგნთა თანმიმდევრობის საკითხები საკმაოდ ხშირად არის ნახსენები. ეს მასალა უმთავრესად ნათარგმნია (გვხვდება ბიზანტიელი ავტორების თხზულებათა თარგმანებში) და ძირითადად არაქართულ – ებრაულ, ბერძნულ – კრებულებს შეეხება.

ქართულ ბიბლიურ კრებულთა შესწავლას ამ თვალსაზრისით ართულებს მასალის სიმცირე და ამგვარ კრებულთა უმრავლესობის არასრული (დაზიანებული) სახე.

ქართული უძველესი კრებული – ოშკის ანუ ათონის ბიბლია (978 წ.), როგორც ცნობილია, ნაკლულია და ხელმეორედ აკინძული; სამეცნიერო ლიტერატურაში მისი თავდაპირველი სახის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი განსხვავებულია.

წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილია ავტორის შენიშვნები ოშკის ბიბლიის ხელნაწერში თავდაპირველად შემავალ წიგნთა რაოდენობისა და მათი თანამდევრობის შესახებ.

ნინო შარაშენიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრამატიკალიზაცია ქართულში

ენობრივი ცვლილებები ენის განვითარების თანამდევრი და მნიშვნელოვანი პროცესია; ამასთანავე, იგი გარკვეულ როლს ასრულებს ენის გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბებაში. ენობრივი ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის ლექსიკური ერთეულების გარდაქმნა გრამატიკული ფუნქციის მქონე ფორმებად. ეს მოვლენა თანამედროვე ლინგვისტიკაში **გრამატიკალიზაციის** ტერმინითაა ცნობილი. გრამატიკალიზაცია ენის ისტორიას უკავშირდება და ენაში მომხდარი ცვლილებების დიაქრონიული ასპექტით გაანალიზებას ითვალისწინებს. ამდენად, იგი ისტორიული ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე ენის მონაცემთა სინქრონიული კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტიცაა.

ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მოდალობის კატეგორიის ჩამოყალიბება სწორედ გრამატიკალიზაციის პროცესს უკავშირდება. მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთ მთავარ მაწარმოებლად თანამედროვე ქართულში გვევლინება „უნდა“ მოდალური ელემენტი. „უნდა“ ფორმა გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგად ზმნური ფორმიდან იქცა ნაწილაკად. ის არის „ნდომა“ ზმნის ობიექტური უღლების მესამე პირის ფორმა. ეს ფორმა თანამედროვე ქართულში ახლაც ასრულებს დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციას. ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა არის „სურვილი, ნდომა“, მაგრამ თანამედროვე ქართულში იგი პოლიფუნქციური ნაწილაკია. იგი აწარმოებს მოდალობის სამივე სახეს (ეპისტემურ, დეონტურ და დინამიკურ მოდალობას). ამასთანავე, გვევლინება კავშირის სახითაც და გამოხატავს არჩევითობის სემანტიკას.

მოხსენებაში განხილული იქნება „უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაცია ქართულში, მისი სემანტიკური დიფერენციაცია და მისი გამოყენებით შექმნილი კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ქართული ენის კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით.

ზურაბ ჭუმბურიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიტყვა იუბილე ქართულში

იუბილე ქართულში კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული სიტყვაა მისგან ნაწარმოებ მეორე სიტყვასთან - **იუბილართან** ერთად. იგი მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში ასეა განმარტებული: ძვ. ებრ. ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის არსებობის, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან მოვლენის წლისთავი, რომელსაც საზეიმოდ აღნიშნავენ; ასეთი წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი ზეიმი.

იმის შესახებ, თუ როდიდან გაჩნდა **იუბილე** ჩვენს ენაში, საინტერესო ცნობას გვაწვდის პროფ. ბ. გიგინეიშვილი თავის ფრიად საყურადღებო ნაშრომში „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ)“, რომელიც ახლახან გამოიცა. როგორც აქ არის აღნიშნული, ეს სიტყვა ძველ ქართულში დასტურდება მე-12 საუკუნეში ე. წ. „გელათის ბიბლიის“

კატენებში: „ამის მიზეზისათვის **იობილისაცა** უქმებად შჯულ-უდვა, რომლისა სახელი თავისუფლებასა და მიტევებასა დაჰნიშნავს, ხოლო იობილად მეერგასესა სახელ-სდებენ წელსა...“ (Ga 74r, Gb 28v).

სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი უკავშირდება ძველებრავლ სიტყვას jobel („ვერძის რქა“). აქედანვეა ლათინური jubilaeus „თავისუფლების წელი“ (Фасмер, IV, 1973, 525); ასეთად დადგენილი იყო ყოველი 50-ე წელი, როცა ხდებოდა მონების გათავისუფლება და ქონების დაბრუნება პატრონებისათვის.

ბ. გიგინეიშვილის აზრით, ახალი ქართული ფორმა **იუბილე** რუსულიდან ჩანს შემოსული და ზემოთ განხილული **იობილესაგან** არ მოდის, რადგან საშუალო ქართულის ძეგლებში ეს სიტყვა აღარ გვხვდება.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ **იობილე** შემდეგი დროის ტექსტებში აღარ ჩანს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ის ენაში არ არსებობდა. ამას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვა **იობელიან** „ერგასი“, თუმცა, ჩვენც ვფიქრობთ, რომ მე-19 საუკუნეში ეს სიტყვა სწორედ რუსულის გავლენით გააქტიურდა.

საინტერესოა ამ ფუმიდან ნაწარმოები ფორმების (იუბილეი, იობილე) ხშირი გამოყენება მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების: ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედებაში.

ნინო ჭუმბურიძე, მარიამ კიკონიშვილი

ოსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დიმინუტიური ფორმები მხატვრულ ლიტერატურაში

დიმინუტივები ქართულში (როგორც ძველ, ისე თანამედროვე სალიტერატურო ენაში) ნაკლებად გვხვდება. ამ ფორმების სიმცირეს ძველ ქართულში იმით ხსნიან, რომ V–XI საუკუნეების სალიტერატურო ენა სასულიერო მწერლობის ენა იყო და მის სტილს კნინობითი ფორმები არ შეეფერებოდა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც დიმინუტივები ნაკლებად გვხვდება, სამაგიეროდ აქტიურად გამოიყენება ისინი ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული დიმინუტივები დიალექტებში. სხვადასხვა დიალექტი ამ მხრივ სხვადასხვა ტენდენციას ამჟღავნებს, მაგრამ უმეტესობას ამ ფორმების სიხშირე და მა-

წარმოებელთა მრავალფეროვნება ახასიათებს. ენის შესაძლებლობები დი-
მინუტივთა წარმოქმნის თვალსაზრისით, ცხადია, წარმოჩნდება მხატ-
ვრულ ლიტერატურაშიც.

ამჯერად განვიხილავთ დიმიანუტივების გამოყენების შემთხვევებს მხატ-
ვრულ თარგმანში, კერძოდ, ცნობილი მთარგმნელის - დავით წერედიანის მი-
ერ გადმოქართულებულ გრიმების ზღაპრებში. გერმანული ენა, როგორც ცნო-
ბილია, დიმიანუტივების სიხშირით გამოირჩევა და ისინი ფართოდ არის წარ-
მოდგენილი ზღაპრებში. საინტერესოა, რომელ ფორმებს მიმართავს მათ შე-
სატყვისად დ. წერედიანი.

ბუნებრივია, მთარგმნელი ხშირად იყენებს სასაუბრო მეტყველები-
სათვის დამახასიათებელ ფორმებს და დიალექტიზმებს: **დათუჩელა, ვირუ-
კელა, თავჯირკა, გოჯა-ბიჭი...**

არც თუ იშვიათად დ. წერედიანი მიმართავს ინოვაციებს: **რწყილუკა,
კარუკა, აღვუკა, ნეშუკა, დედლუკა, ძეხუკა...**

ზოგჯერ იგი ქმნის იმ ტიპის კომპოზიტებს, რომლებიც ფუძის რე-
დუპლიკაციით და ფუძეში ხმოვნის ან თანხმოვნის შეცვლით მიიღება. ასე-
თი სახელები, როგორც ვიცით, ექსპრესიულობით გამოირჩევა და ირონიუ-
ლი, დამცინავი დამოკიდებულების გამომხატველია. სწორედ ამ ფუნქციას
ასრულებს მთარგმნელის მიერ გამოყენებული ინოვაციური ფორმები: **ფარ-
თალ-ფურთალა, ჯილდო-მილდო, ჯილდო-მილდო...**

რომელ ფორმას ირჩევს მთარგმნელი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვე-
ვაში, ეს, რა თქმა უნდა, მის ნიჭსა და ენობრივ ალღოზეა დამოკიდებული,
მაგრამ ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ
ვლინდება ენის შინაგანი პოტენცია და შესაძლებლობები დიმიანუტიური
ფორმების წარმოქმნისას.

ნინო ხახიაშვილი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სიტყვა ცა და მასთან დაკავშირებული სიტყვა-თქმანი

ცა სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ არის: „ზე აღსახედი (1,1 დაბად.).
ცად არს გარე-შემცველი ყოველთა დაბადებულთა და შექმნილთა ნივ-
თიერთა, ხოლო ცანი შეცულ არიან სასუფეველისაგან, სადა არს საყოფელი
ანგელოზთა და წმიდათა, ხოლო მხოლოდ ღმერთი არს ყოველთა

შემცველი და გარე-შემოუწერელი...“ **ცა** სიტყვის ბუდეში ჩამოთვლილია: ზეციერი, მეცხრე ცამ, საქანელნი ცათანი, ცათ მოხილვა, ცანი ცათანი, ცისად-ცისად, ცისარტყელა, ცისიერი, ცისკრის-ვარსკულავი, ცის-მშვილდი, ცის-ნატეხა, ცის-ფერი, ცისხეული... **ზეციერი** ცათა მყოფი; **ცისიერი** ესე არს ჰაერთა შინა რაიც იქმნების: ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ვარსკვლავუდელი, სეტყვა, და რაიც შუქი და ნიშანი გამოჩნდების; **ცისარტყელა** ცის-მშვილდი, **ცის-მშვილდი** რა ნისლი ამალდების და ღრუბელთამდე მიიწევს, მზის შარავანდედისაგან ნისლთა ცვარნი გაზრქვლებიან და შეიმკობიან (+ და ფერად-ფერადად გამოჩნდებიან)..; **ცისკრის-ვარსკულავი** მთიები; **ცისხეული** ლურჯი; **მეცხრე ცამ** ამას უწოდენ ბროლის ცასა, რომლის მოქცევასა ფილასოფოსნი ორმეოცდაცხრა ათასთა წელიწადთა შინა იტყვიან... და ამის ცის მოქცევისა შემდგომად სოფლისა აღსასრულსა და ყოველთა ცათა სამკაულისა მოშლასა და მაშინდა სასჯელსა“... და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ქართულში **ცა** სიტყვისაგან უამრავი ლექსემაა წარმოქმნილი, და ასევე უამრავი – ხატოვანი სიტყვა-თქმაც: ცისმარე, ცისქვეშეთი, ცისპირი, ცისკიდური, ცის დასალიერი, ცის-იკანკლელი, თვალღია ცა, ცისფერი, ცისთვალა, ცის ფოლიო, ცის ნამი, ცათა სწორი, ცის გუშაგი... ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ცას** ექვსი მნიშვნელობა აქვს, აქვეა დამოწმებული ხატოვანი თქმებიც: ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად; ცას სწვდება სიხარულით, სიხარულით მეცხრე ცაზეა, ცის გახსნა, ცის გაწითლება; ცის დაქცევა (დანგრევა), ცა ფეხად ჩამოდის, ცა ძირს მოიდგამს; ცას შეაბერდება; ცა მაღალია, მიწა მაგარი...

საყურადღებოა აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“ დადასტურებული **ცა** სიტყვიდან წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები და მათთან დაკავშირებული გადმოცემები: **ცარგვალი** ფშ. ცის კამარა; **ცას წავალა** ფშ. (რაზ.-ჭყ.) „ტოროლა ფრინველისათვის ფშავლები იტყვიან: ტოროლა რომ მაღლა წავა გალობით, ის ამბობს: „ცას წავალ, ცას წავალ, ცას წავალ“. მერე ისევ დაეშვება: „ვტყუი, ვტყუი, ვტყუიო“... **ცის კაკანა** ჯ. ბროლის მსგავსი ქვა (ციდან ჩამოვარდნილს ამბობენ); **ცის პირის ძვრა** ჯ. რიჟრაჟი; **ცის გიდელ-გიდელ**, **ცის კიდელ-კიდელ** ჯ., **ცის ტატანთ** თ. ჰორიზონტზე; **ცა-ღურბელთ ომობა** „ცა-ღურბლის მეომართ ჰევსურეთში

ვინც ძალიან გვარ-ძლიერნია, ბევრნი, იტყვიან: ის ხალხნი ცა-ღურბელ-თანაც შაიძლებენ ომობასაო“ (ბეს.)...(მანიძე ტ. I, 1984).

სიტყვა **ცა** და მასთან დაკავშირებული სიტყვა-თქმანი, როგორც მოყვანილი ნიმუშებიდანაც ჩანს, მრავალი თვალსაზრისით, საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს.

მარია ჯიქია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თებერვლის 26-ს ვამჯობინეთ 26 თებერვალი

XIX საუკუნიდან ქართულ სინამდვილეში ფაქტობრივად დაკანონდა თვის რიცხვის რაოდენობითი რიცხვითი სახელით გამოხატვა (გამონაკლისით - პირველი). ჩვენი ცხოვრება წელიწადის 12-თვიანი ციკლით არის სტრუქტურირებული, ჩამონათვალში ყოველი თვე ერთგზის სახელდება. იანვარი ერთია და 31 ვერ იქნება, აპრილი ლურჯი აუცილებლად შეიძლება, მაგრამ არა 27... უცხოენოვანი – ანუ: აზერბაიჯანული, არაბული, ბერძნული, გერმანული, ებრაული, თურქული, ინგლისური, ლათინური, ოსმალური, ოსური, სირიული, სომხური, სპარსული, რუსული, ფრანგული, ქურთული – გავლენა გამოვრიცხეთ; არც ძველსა და საშუალ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის უპირატესად პოსტპოზიციური წყობა არ უნდა იყოს ამის გამომწვევი მიზეზი, რადგან ახლისათვის დომინანტური ნათესაობითიანი ფორმის პრეპოზიციულობა ბუნებრივია ყველა ეპოქის ქართულისათვის.

მივმართოთ წერილობით წყაროებს:

„აღსრულებაჲ მისი თთვესა – ოკდონბერსა ათჩვიდმეტსა...“ („შუშანიკის წამება“ (V ს.);

„...განვაწესეთ სახსენებელი... ოკდონბერსა ოცდაცხრასა...“ („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (X ს.); „...იმსახურებოდის თვესა მათსა **იგ**...“ („იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“ (XI ს.).

ამ მაგალითებში წყობა კი არის პოსტპოზიციური, მაგრამ საზღვრული მოსალოდნელი ნათესაობითის ნაცვლად შეთანხმებულ მიცემითშია. ასევეა ამ მაგალითებშიც: ...ივნისა **კ**, მამამსი (იადგარი, XI ს.), თუესა აგვისტოსა (საწინასწარმეტყველო, 1085), აპრილსა **კე** (დავითნი, XV ს.), თვესა მარტსა **ლა** (კურთხევეანი, XVII ს.)

ნათესაობითიანი ფორმები: ...ფებერვლის ი ... (წერილი ერეკლე II-ისა, 1770), სრულ იქმნა ...დეკემბრისა თვისა გ (თეიმურაზ II-ის წერილი, 1753). სრულ იქმნა...დეკემბრის ა (ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი, 1756). ...ენკენის-თვის კგ („ვეფხისტყაოსნის“ გადამწერის ანდერძი, 1671). გრიგოლ ორბელიანი – ნოემბრის 7 დღესა, მარტის 8-სა, ასევე – 23 სექტემბერი. ნიკოლოზ ბარათაშვილი – მაისის 28-სა დღესა, ასევე – 21 აგვისტოს, და ოქტომბრის 31-სა. გიორგი წერეთელი – 186... წლის ოქტომბრის 20-ს, 186... წლის დეკემბრის შუას და აპრილის გასულს, დეკემბრის 15 იყო, ასევე: 1888 წლის 22 დეკემბერი. ილია ჭავჭავაძე – 1860 წელსა ნოემბრის 5-სა დღესა, 1861წ. 15 თიბათვისას(?), 12 მკათათვისა. უპირატესად დღევანდელ ნორმას იყენებს. ასევე – ვაჟა-ფშაველაც.

ტერენტი გრანელი ხშირად აფიქსირებს ლექსის თხზვის თუ ამ „ლექსად ყოფნის“ თვისა და რიცხვს და ხან გენტიურ კონსტრუქციას იყენებს – დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი (“Memento mori“), ხანაც ექვემდებარება არამართლზომიერ, თუმცა გაბატონებულ ტენდენციას: რვა სექტემბრის ქარიანი დღეა („ირას“).

ამრიგად, ქართველებმა თებერვლის 26-ს ვარჩიეთ 26 თებერვალი.

ს ტ უ დ ე ნ ტ უ რ ი ს ე ქ ც ი ა

მარიამ აბესაძე

ოსუ, ბაკალავრიატის სტუდენტი

ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი რუსუდან ზეჟალაშვილი

უქონლობისა და უარყოფითნაწილაკიან ფორმათა მოდელები და სემანტიკური ანალიზი (სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების მიხედვით)

სხვადასხვა ენაში უარყოფის გამომხატველი საშუალებები მრავალფეროვანია. თანამედროვე ქართულ ენაში საკმაოდ ბევრია უარყოფის გამომხატველი დამოუკიდებელი სიტყვები, მაგრამ გვაქვს უარყოფითი ნაწილაკებისა და პრეფიქსების შემცველი ერთეულებიც.

სალიტერატურო ქართულში უარყოფის მაწარმოებლიანი სიტყვებიდან გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი და ზედსართავი სახელები (მიმღეობები), ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

ჩვენი მიზანი იყო, ქართული ენის დიალექტური მასალის მიხედვით შეგვესწავლა უარყოფის გამომხატვის საშუალებები და დერივაციის საკითხები, გამოგვეკვია მსგავსება-განსხვავებები სალიტერატურო ქართულთან შედარებით. კვლევის დროს ვეყრდნობოდით ქართული ენის დიალექტური კორპუსის ტექსტებს (corpora.co). განვიხილეთ თითქმის ყველა დიალექტის მასალა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე (ქართლურის, კახურის, თუშურის, ფშაურის, მთიულურ-გუდამაყრულის, იმერულის, გურულის, რაჭულის, აჭარულის, სამცხურ-ჯავახურის), ისე მის ფარგლებს გარეთ (ინგილოურის, იმერხეულისა და ფერეიდნულის ტექსტები).

დიალექტური ტექსტების ანალიზით გამოვლინდა, რომ უარყოფის წარმოების ძირითადი მოდელები თითქმის არ განსხვავდება ქართული სალიტერატურო ენისაგან, თუმცა უფრო მრავალფეროვანია ნაწილაკდართული ფორმები.

დიალექტებში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, გავრცელებულია უარყოფის გამომხატველი შემდეგი მოდელები:

I. უ-პრეფიქსიანი უქონლობის სახელები და მიმღეობები:

ა. კონფიქსიანი ზედსართავი ან არსებითი სახელები:

უ+ სახელური ფუძე+ ო

უ+ სახელური ფუძე+ ურ

ბ. მიმღებები - ოდენპრეფიქსიანი ან კონფიქსიანი:

(ზმნისწინი)+ უ+ზმნური ფუძე

(ზმნისწინი)+უ+ზმნური ფუძე+არ

(ზმნისწინი)+უ+ზმნური ფუძე+ელ

II. უარყოფითნაწილაკიანი კომპოზიტები:

არ ნაწილაკი + (ზმნისწინი)+ სახელზმნა

ვერ(ა) ნაწილაკი + სახელზმნა

არ(ა) + სახელური ფუძე

განსხვავებული წარმოება დადასტურდა მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ დიალექტებში (ინგილოურში, იმერხელსა და ფერეიდულში), კერძოდ, ზმნისწინამდე უ- პრეფიქსიანი მიმღებები (უგაწყვეტილი, უგაკეთებული), ასევე ორმაგპრეფიქსიანი მიმღებური ფორმები (უმოუხვნელი, უგაუგონარი) და სხვ.

როგორც ფიქრობენ, უქონლობის აფიქსებით ნაწარმოები და უარყოფითნაწილაკიანი სიტყვები სალიტერატურო ქართულში დიაქრონიულად სინონიმური მნიშვნელობისა იყო, მაგრამ შემდგომ ზოგიერთმა ლექსიკურმა ერთეულმა განსხვავებული სემანტიკა შეიძინა (მაგ.: კაცი - არაკაცი, უზომო - არაზომიერი, უჩვეულო - არაჩვეულებრივი და სხვ.). მსგავსი პარალელური ფორმები საკმაოდ იშვიათია დიალექტებში, თუმცა ყველა განვიხილეთ (არმოსაზდელი/არგასაზრდელი - გაუზრდელი, არმოხნული - მოუხნავი, არდანამუშავი - დაუმუშავებელი და სხვ.). მათ შორის იშვიათად შეიმჩნევა სემანტიკური განსხვავება და პარალელურ ფორმებად აღიქმება.

ნინო აბესაძე

თსუ, დოქტორანტი

„უტოპიური ანბანის“ შექმნის იდეა და მისი განვითარების გზა¹

კავკასიაში გავრცელებული ენებისათვის ანალიტიკურ სისტემაზე დაფუძნებული „უტოპიური ანბანის“ შექმნის იდეა 1931 წელს საზოგადოებას გააცნო იური მარმა. მანამდე, როგორც ვიცით, ნიკო მარმა აფხაზური ენი-

¹ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საბჭოთა უტოპიური ენობრივი თეორიები და ზოგადი ენათმეცნიერების პირველი ქართული სახელმძღვანელოები: 1918-1950 წლები“ (№ FR/503/1-30/14) - ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი თსუ ასოც. პროფ. თ. ბოლქვაძე).

სათვის შექმნა ე.წ. ანალიტიკური ანბანი (1926-1928 წწ), რომელსაც თვითონვე იყენებდა სამეცნიერო მიმოქცევაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საარქივო მასალებზე მუშაობისას მივაკვლიეთ დამწერლობის კომისიის სხდომის ოქმებს, რომლებშიც სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებასთან ერთად განხილულია „უტოპიური“, მაგრამ „სისტეტიური“ ანბანის შექმნის იდეა.

1931 წლის 16 სექტემბრის დამწერლობის კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით კომისიამ დაადგინა, რომ:

„მუშაობა ანალიტიკურ წერაზე უნდა გაგრძელდეს სამი მიმართულებით:

ა) სამეცნიერო ჩანაწერებისათვის აუცილებელი სისტემის დაზუსტება და დახვეწა დეტალურად;

ბ) ანალიტიკური დამწერლობის მოხერხება პრაქტიკული მიზნებისათვის ლათინიზაციიდან გადახვევის გარეშე;

გ) ანალიტიკურ სისტემაზე დაფუძნებული უტოპიური ანბანის მომზადება, მაგრამ უკვე სისტეტიურისა, რომელიც გაითვალისწინებს კაცობრიობის ანბანურ გამოცდილებას, მაგრამ არ დაემსგავსება არც ერთ აქამდე არსებულ და აწ არსებულ ანბანს“ (დამწერლობის კომისიის სხდომის ოქმი №1. 16.09.1931 წ.).

სამუშაო ჯგუფი შეიქმნა შემდეგი ენებისათვის: მეგრული, ჯავახეთური (თურქული), ჭანური, ინგუშური, თურქული, თალიშური, თათური, ოსური, სვანური, უდიური, ქართული, სომხური, წოვა-თუშური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ინგლისური, გერმანული, ბერძნული/კავკასიური/ ასურული, ქურთული, სპარსული, რუსული, ინდური, ტაჯიკური.

მოხსენებაში შევეცდებით, ავხსნათ, თუ რა იყო საფუძველი ენობრივი პოლიტიკის შემუშავების ამგვარი მეთოდისა. რეალურად, რომელი ენებისათვის შეიქმნა უტოპიური ანბანები და მიღებული იყო თუ არა სამეცნიერო მიმოქცევაში, ისე, როგორც აფხაზურის შემთხვევაში.

**ვა- „არ“ ნაწილაკის დაწერილობისა და ფუნქციის საკითხი
მეგრულში**

ვა- „არ“ უარყოფითი ანუ უკუთქმითი ნაწილაკი მეგრულში ვარ „არა“ ნაწილაკისაგან მომდინარეობს ბოლოკიდური რ-ს ჩამოცილების შედეგად. ფორმოზრივ-აზროზრივი სიახლოვის მიუხედავად, სხვადასხვაგვარად განიხილება ვარ და ვა- ნაწილაკების დაწერილობის საკითხი მეგრულში; კერძოდ, ვარ ნაწილაკი ცალკე იწერება, ხოლო ვა- ნაწილაკის დაწერილობა სხვადასხვაგვარად არის ასახული ბეჭდურად გამოცემულ მეგრულ ტექსტებში. ზოგჯერ იგი ცალკეა დაწერილი მაშინაც კი, როცა ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად ვე ვარიანტი დასტურდება.

ვა- „არ“ ნაწილაკის დაწერილობა მეგრულში მჭიდროდ უკავშირდება მისი ფუნქციური განაწილების საკითხს. მოხსენებაში არის ცდა, წარმოვაჩინოთ ვა- ნაწილაკი, როგორც ნაწილაკ-მორფემოიდი. მისი ამგვარი ფუნქციური დატვირთვა იძლევა მომდევნო სიტყვასთან ერთად დაწერილობის საფუძველს.

**„არ“ ნაწილაკის სტილური დანიშნულების კონკრეტული შემთხვევა
„ვეფხისტყაოსანში“**

უარყოფა ქართულში გადმოიცემა უქონლობისა და არ(ა) ნაწილაკიანი რთული სახელებით. არ(ა) ნაწილაკიანი რთული სახელი ძველ ქართულშივე დასტურდება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ნაწილაკიანი რთული სახელების გამოყენება ახალ ქართულში აქტიურდება კატეგორიული უარყოფის გამოსახატად სწორედ არ(ა) ნაწილაკის მეტი გამომსახველობითი ძალის გამო.

მოხსენებაში გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსანში“ „არ“ ნაწილაკის სტილური ფუნქციით გამოყენების ერთი კონკრეტული შემთხვევა:

- (1) „მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურველია (158,1);
- (2) კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ (952,4).
- (3) უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახვეელი“ (1084,4).

ავტორი აცალკევებს არ ნაწილაკიან რთულ სიტყვას და მასში ტმესის წესით სვამს იმ სახელურ ერთეულს, რომლის უარყოფაზეც აკეთებს აქცენტს. უარყოფის აქტუალიზება ხდება პოზიციურადაც, რაც ხელს უწყობს ინტონაციური მახვილის დასმას სამიზნე ლექსიკურ ერთეულზე. ამგვარი მაგალითები უხვადაა „ვეფხისტყაოსანში“. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ამგვარ სტილურ ხერხს იყენებს ერთ მაგალითშიც, ოღონდ „არ“ ნაწილაკის გამომსახველობით ძალას უფრო მეტად ზრდის უქონლობის სახელის უარყოფის ხარჯზე:

- (4) არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი (928,3).

სალომე სუხიაშვილი

თსუ ბაკალავრიატის სტუდენტი

ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ხვთისო მამისიმედიშვილი

საიქიო და მისი ბინადრები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

ქრისტიანობამდე საუკუნეებით ადრე მივიდა ადამიანი იმ კითხვამდე, რა არის სიკვდილი, შეიძლება თუ არა უკვდავების მოპოვება. გმირები, რომლებსაც ამგვარი აზრი უჩნდებათ, ცდილობენ ცოცხლები ჩავიდნენ და ეწვიონ მიღმურ სამყაროს, მაგრამ იქ ადვილად ვერ მოხვდები. უკვდავების მოპოვებასა და მიღმურ სამყაროში სტუმრობის არსს პირველად ვხვდებით „გილგამეშის ეპოსში“, იგივე „გილგამეშთანში“, რომელიც არის ბაბილონური ეპოსი.

მოხსენების მიზანია, ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე, როგორ წარმოუდგენიათ ქართველებს საიქიო და მისი ბინადრები. ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში მოცემულია ცნობები, როგორ წარმოუდგენიათ ფშაველებს საიქიო. ბესარიონ ნიჟარაძე გვაწვდის ცნობებს სვანების წარმოდგენებზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ა. შანიძის მიერ არის ჩაწერილი და გამოცემული „ხევსურული პოეზია“. ამ ლექსების მიხედვით,

საიქიოს სულეთი ეწოდება. მას აქვს ციხის კარები, რომელსაც უსამართლოდ დაღუპული გმირები ხან ფეხით აღებენ, ხანაც კივილით შედიან. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ იქ ხვდებით ნათესავები, ზოგ შემთხვევაში - მთლიანად თემი, ნარჩევი ვაჟკაცებისაგან შემდგარი ჯარი. ისინი ერთად ცდილობენ სამზოვოზე გამოსვლას, მაგრამ მათ ღმერთი აკავებს და ეუბნება, რომ ცოცხლებში აქედან არავინ გასულა. ისინი კი მუდამ ცდილობენ ცოცხალთა სამყაროში დაბრუნებას და შურისძიებას.

სოფია შამუგია

თსუ დოქტორანტი

ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი მათა ლომია

ნატვრითობის გამოხატვა მეგრულში და სამეტყველო კოდების შერევის საკითხი

მეგრულში, როგორც ცნობილია, ნატვრითობის სემანტიკის ენობრივი გამოხატულება დიფერენცირებულია არეალების მიხედვით; კერძოდ, აღმოსავლურ არეალში გადმოიცემა თხრობითი კილოს აორისტის მწკრივის ფორმით, ხოლო დასავლურში - II კავშირებითის ფორმით. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში S პირი იკარგება:

1. ქომუჩუ თიქ^(s) მა^(indO1) თინა^(dirO3) (აღმ. არეალი) „მომცა მან მე ის“

შდრ.: ქომუჩუნი თინა მა „მომცა მე ის“;

2. ქომჩას თიქ^(s) მა^(indO1) თინა^(dirO3) (დას. არეალი) „მომცეს მან მე ის“

შდრ.: ქომჩას მა თინა „მომცეს მე ის“

რადგან სალიტერატურო ქართულში ნატვრითობა გადმოიცემა თხრობითიკილოიანი წყვეტილის ფორმით, მეგრულში არსებული ზემოხსენებული დიფერენცირება ქართულ თარგმანში ყოველთვის არ არის შენარჩუნებული; შესაბამისად, აღრევისას დასავლური მეგრულისთვის დამახასიათებელი ფორმა იცვლება, თუმცა მეგრულისთვის დამახასიათებელი არეალური დიფერენცირება შენარჩუნებულია სამეგრელოს დასავლური არეალის წარმომადგენელთა ქართულ მეტყველებაში, რომელიც საინტერესო მასალას იძლევა სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით.

ზოგიერთი ენობრივი საკითხის ანალიზი ლაზურ ანდაზებში

როგორც ცნობილია, ანდაზა ერთი მთლიანი, ადვილად წარმოსათქმელი და დასამახსოვრებელი ლინგვისტური ერთეულია. ღრმამინაარსიანი სათქმელის ლაკონიურად გადმოცემა ბევრად არის დამოკიდებული ენობრივ მახასიათებლებზე.

მოხსენებაში გაანალიზებულია ორი ტიპის რთული აგებულების ანდაზა, რომელთაგან: I. შედგება ავტორის ნათქვამისა (მთავარი წინადადება) და სხვისი ნათქვამისაგან, რომელსაც ახლავს მაქვემდებარებელი კავშირი და III პირის აღმნიშვნელი სხვათა სიტყვის ნაწილაკი(დამოკიდებული წინადადება); II. შედგება ოდენ დამოკიდებულისაგან, რომლის მთავარ წინადადებად ივარაუდება ქართული თქმის ფარდი ზმნები ლაზურში აწმყო ან წარსული დროის ფორმებით: ამბობენ, ნათქვამია, უთქვამთ და სხვა.

I. (1) ბუტკუჯიქ თქვერენ: მა-ნა მებუჭკომარე კოჩი დოღურატუკონ-ნა, არ კოჩიშენი არ ფუთი თოფური დობიქომტია „ფუტკარს უთქვამს: ჩემგან დაკბენილი კაცი რომ მომკვდარიყო, ერთი კაცისთვის ერთ ფუთ თაფლს გავაკეთებდიო“ (შერ. მემ. 198);

(2) მთუთიქ თქვერენ: ბერეფე ნა მაყუჭკულე, პიჯის ნოსთონი ქე-მაზდუ-მა „დათვს უთქვამს: რაც შვილები შემეძინა, იმის შემდეგ პირში გემო დამეკარგაო“ (იქვე, 233);

(3) ჩხომიქ თქვერენ: ოთქუში დიდო მიღუნ, ჰამა პიჯი წკარითენ მიღუნ ოფშა-მა „თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“ (იქვე, 260);

II. (1) იგბალი მომჩი დო გზაში წალე მისთოლია „იღბალი მომეცი და გზიდან გადამაგდეო“ (შერ. მემ. 219);

(2) ოხოიშ თოსუმი ბოლა ვა იყვენა „სახლის მოზვერი ბუღა არ იქნებაო“ (იქვე, 246);

(3) ჯუმუ ოჩამუშენი ხოჯი ჭეიშა ოჭაფტერენან-მა „მარილის საჭმელად ხარი ჭერში აჰყავდათო“ (იქვე, 267);

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ირიბი ნათქვამი ისტორიულად მეორეულია და იგი პირდაპირი ნათქვამის დახვეწის შედეგადაა მიღებული (იხ. მაგ.(3)). გამოიყოფა ერთგვარი შუალედური

პერიოდიც, რომელიც წარმოადგენს „პირდაპირსხვისნათქვამიანი წინადადებიდან ირიბსხვისნათქვამიანზე გარდამავალ საფეხურს“ (ლომია 2005). ეს საფეხური სწორედ კავშირიანი და სხვათა სიტყვის ნაწილაკიანი დამოკიდებულით გადმოიცემა (იხ. მაგ. I (1), (2) და მნიშვნელოვანია ენის ისტორიის კუთხით.

სხვათა სიტყვის ნაწილაკიანი კონსტრუქციების განხილვა საინტერესოა აგრეთვე ვერბალური ევიდენციალობის თვალსაზრისითაც.

სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიცია ლაზეთსა და სვანეთში - ანგარიში

**სოფია შამუგია, ნინო ქებურია, გიორგი ჯღარკავა,
სოფიო ბერულავა, სალომე გეგეჭკორი,
მარიამ მამფორია, ნინო ყოჩიშვილი
(ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი მაია ლომია)**

**გიორგი ჯღარკავა, მარიამ აბესაძე,
ნათია ბოტკოველი, ელენე ლურსმანაშვილი,
ლიკა შონია, მზისადარ ჯოჯუა
(ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი ქეთევან მარგიანი)**

ბუნებრივი ენების ლინგვისტური ანალიზი, როგორც წესი, მდიდარ ემპირიულ მასალას ემყარება. საანალიზო მასალის მოპოვების ერთ-ერთი გამოცდილი და სანდო გზა არის ველზე მუშაობა. უმწერლობო ქართველური ენების, ქართული ენის დიალექტების შესწავლას ამგვარი მეთოდი და ხერხით ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში მდიდარი ტრადიცია აქვს. ცნობილია, რომ ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, ხოლო შემდგომ ახალგაზსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ინტენსიურად ახორციელებდნენ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის თურქეთის ლაზეთში ქართველი სტუდენტები და პროფესორები. ეს ტრადიცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღესაც გრძელდება.

მოხსენებაში საუბარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტთა მონაწილეობით გასული წლის აგვისტო-სექტემბერში ლაზეთსა და სვანეთში განხორციელებული სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის შედეგებზე.

